გილოცავთ შობა-ახალ წელს!

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №1-2 (7101) 12 იანვარი 2024 წელი



ქრისტესმიერი სიყვარულით გილოცავთ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველო წევრო, ქრისტეშობასა და ახალი წლის შემობრძანებას

2024 წლის წინ აღსრულდა ქვეყნიერების მხსნელის შესახებ წმინდა ესაიას წინასწარმეტყველება—„აჰა, მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს, და უწოდებს სახელად ემანუელს.“

ჩემო სულიერო შვილებო, გულითადად გილოცავთ ამ დიდებულ დღეს, ბეთლემის ბაგა ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის გული და შობილიყოს მხსნელი, უფალი ჩვენი, იესო ქრისტე.

ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობის, მიმტევებლობის, სიყვარულის, ერის გამრავლების, ცოდვების მიტევებისა და ერთიანობის წელიწადი.

ჭეშმარიტად ბედნიერი ვართ, რომ ჩვენ სულიერი თანაზიარი გავხდით ენით გამოუთქმელი ამ სასწაულისა, თუმცა ღვთის დიდებას სრულიად ვერასდროს შეიცნობს ადამიანური გონება და ვერც იესო ქრისტეს ღვაწლს გააცნობიერებს. იესო ქრისტეს მოწყალებით, ღვთისმშობლოს მეოხებით, ღმერთმა ბედნიერი შობა-ახალი წელიმომადლოს თითოეულ თქვენთაგანს, სრულიად საქართველოს და მთელს მსოფლიოს.

ამინ!

გიორგი (შალამბერიძე),
მიტროპოლიტი ტყიბულისა და თერჯოლისა

ალილო თერჯოლაში

ეს მასშტაბური სადღესასწაულო ღონისძიება, რომელიც პირველად გაიმართა თერჯოლაში, მუნიციპალიტეტის თვითმართველობის და თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიის თაოსნობით მოეწყო.

შობის მახარებლებმა, 7 იანვარს, „ჭაბუკმთის“ წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძრიდან დაიწყეს საზეიმო სვლა და რამდენიმე საათში ქალაქის ყველა ადგილი მოიცვეს.

ალილოს მსვლელობაში აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება, ადმინისტრაციული ერთეულები, ა(ა)იპების წარმომადგენლები და ქალაქში არსებული სხვადასხვა ორგანიზაციები.

„ალილო 2024” დღის ბოლოს ქალაქის ცენტრში მდებარე ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძართან დასრულდა, სადაც თერჯოლა-ტყიბულის მიტროპოლიტმა მეუფე გიორგიმ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ როაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილმა, მღვდელმსახურებმა ღმერთისა და მოყვასის სიყვარულით, ქვეყნისა და სარწმუნოების ერთგულებით გაჯერებული სიტყვებით მიმართეს ალილოს საზეიმო მსვლელობის მონაწილეებს. კიდევ ერთხელ მიულოცეს თერჯოლის მოსახლეობას და სრულიად საქართველოს შობის დღესასწაული და მადლობა გადაუხადეს მათ ალილოში აქტიური ჩართულობისათვის.

ხაზგასასმელია, რომ შეგროვილი ნობათების დარიგება იმ დღესვე დაიწყო.

მართალია, ქრისტეშობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ალილო, სახალხო საზეიმო მსვლელობის და შეჭირვებულთათვის საჩუქრების შეგროვების ფორმით, პირველად ჩატარდა თერჯოლაში, მაგრამ მისი მასშტაბებით და ორგანიზებულობით იგი უდავოდ დაიმკვიდრებს ადგილს, როგორც საშობაო-საახალწლო დღეების ერთერთი უმთავრესი ღონისძიება.

გვილოცავენ, ვულოცავთ!

ძვირფასო მეგობრებო!

უპირველესად მინდა მოგილოცოთ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება...

ქართველი ერის საუკუნოვანი ნება-სურვილი სრულდება...

ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახში ჩვენი გაწევრიანების პროცესმა შეუქცევადი სახე მიიღო... სწორედ ამ მიღწევის ფონზე, მინდა მოგილოცოთ შობა-ახალი წელი!

მწამს, 2024 წელი იქნება ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცების, ეკონომიკური წინსვლის, ჩვენი კულტურის, სარწმუნოების და ტრადიციების აღორძინების, ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობის, თითოეული ქართველის უმთავრესი ოცნებისა და მიზნისკენ—ერთიანი, თავისუფალი და ძლიერი საქართველოსკენ წინსვლის წელიწადი!

2023 წელი გამოწვევებით იყო სავსე, თუმცა საქართველოს მოსახლეობის უდიდესი მხარდაჭერითა და ეროვნული პოლიტიკის გატარებით, ჩვენ მშვიდობიანად გადავლახეთ ყველა წინააღმდეგობა და დაბრკოლება. განვლილი წლის შეჯამებისას მოტივაცია იგივეა—კიდევ უფრო მეტი შემართებით უნდა გავაგრძელოთ ეროვნული პოლიტიკის გატარება და ზრუნვა ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, სიყვარულს, ბედნიერებას, სიუხვესა და ჯანმრთელობას!

ბეჟან წაქაძე,
საქართველოს პარლამენტის წევრი

კეთილდღეობა და მშვიდობა მოეტანოს 2024 წელს ჩვენი ოჯახებისა და სრულიად საქართველოსთვის!

იმერეთი უძველესი კულტურის მქონე მხარეა. კულტურული ძეგლებითა და ბუნების მრავალფეროვნებით შემკული რეგიონი წლიდან-წლამდე ვითარდება და გვიქმნის საინტერესო გარემოს, ამავდროულად, ღირსეულად პასუხობს გამოწვევებს და განვითარების ახალ ეტაპებზე აგრძელებს სვლას.

2023 წელს იმერეთში ნახევარ მილიარდზე მეტი ღირებულების 2245 პროექტი განხორციელდა, მათ შორის ყველაზე მასშტაბურია სახელმწიფო მნიშვნელობის, რიკოთის ახალი მაგისტრალური, 27 კმ-იანი გზა. ასევე აღსანიშნავია, პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში იმერეთის თორმეტივე მუნიციპალიტეტში განხორციელებული ურბანული პროექტები. ეს პროცესი გრძელდება და სახელმწიფო პროგრამის—„ქალაქებისა და კურორტების განვითარების“ ფარგლებში, ისევ იგეგმება მომავალი მსხვილი პროექტების დაფინანსება.

გარდა ამისა, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, ბოლო პერიოდში, იმერეთში 70 მილიონამდე ღირებულების სამშენებლო - სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა და პროექტები მომავალ წელსაც გაგრძელდება.

იმერეთს საინტერესო ტურისტული პოტენციალი და საინვესტიციო გარემო აქვს. ჩვენი მხარე მდიდარია თერმული წყლებით. გვაქვს 33 ასეთი საბადო და სწორედ ამ უნიკალურობამ მოგვცა შესაძლებლობა 2024 წელს ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების ასოციაციის გენერალურ ასამბლეას ვუმასპინძლოთ.

იმერეთი ასევე კარგად პოზიციონირებს სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებითაც. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით პრიორიტეტული მევენახეობა-მეღვინეობაა. რეგიონი ღირსეულად აგრძელებს ამ დარგის 8000-წლიან უწყვეტ ტრადიციას.

იმერული ღვინო წარმატებით იღებს მონაწილეობას ევროპისა და ამერიკის ღვინის საერთაშორისო გამოფენებზე, რაც იმის შედეგია, რომ მეღვინეებმა არაერთი სახელმწიფო პროგრამით ისარგებლეს, რომელთა მიზანი იყო დარგის შემდგომი განვითარება-ხელშეწყობა. იმერული ღვინის პოპულარიზაციის და ექსპორტზე გატანის მოტივაციის ამაღლების მიზნით, 2023 წელს ჩატარდა ღვინის კონკურსი და საუკეთესოები ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ.

ჩვენ, გასულ წელს, შევძელით მრავალფეროვანი და საინტერესო მიმართულებებზე სწორად პოზიციონირება და რეგიონის ღირსეულად წარმოჩენა.

მოქალაქეების კეთილდღეობისთვის კვლავ ბევრია გასაკეთებელი. ჩვენი მთავარი სურვილიც ეს არის—თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს ცხოვრების ღირსეული პირობები.

გილოცავთ ახალ წელს!

მიზნების ასრულება, კეთილდღეობა და მშვიდობა მოეტანოს 2024 წელს ჩვენი ოჯახებისა და სრულიად საქართველოსთვის!

ზვიად შალამბერიძე,
სახელმწიფო რწმუნებული
იმერეთში

ჩემო თერჯოლელებო, გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კეთილდღეობას, წინსვლასა და გაძლიერებას!

მშვიდობის, სიკეთის, სიყვარულისა და წარმატების მომტანი ყოფილიყოს 2024 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

გასული წელი მნიშვნელოვანი სიახლეებით იყო სავსე. მინდა მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს ნდობისა და მხარდაჭერისთვის, იმ გულწრფელი დამოკიდებულებისთვის, რასაც ჩემს მიმართ გამოხატავდით. მზად ვარ, მერის რანგში თქვენთან ერთად ღირსეულად გავაგრძელო ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარება.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტში 105 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა განათლების, კულტურის, სპორტის, სოციალური განვითარებისა და ტურიზმის ხელშეწყობის მიმართულებით.

მჯერა, რომ 2024 წელი კიდევ უფრო მეტად საქმიანი, სასიკეთო ცვლილებების, წარმატებისა და ახალი შესაძლებლობების მომტანი იქნება. წინ კიდევ უფრო მეტი გამოწვევა გველის, რომელიც ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობისა და უკეთესი ხვალინდელი დღისკენაა მიმართული.

ჩემო მეგობრებო, ჩემო თერჯოლელებო!

განსაკუთრებულად მინდა მივულოცო შობა-ახალი წელი ემიგრანტებს, მათ, ვინც დღეს საქართველოში არ იმყოფებიან და მშობლიური მხარე ენატრებათ. ღრმად მწამს, რომ ჩვენი თანამოქალაქეები, აუცილებლად დაგვიბრუნდებიან.

ასევე, მინდა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მივულოცო ჩვენი დროის გმირებს, მუნიციპალიტეტში მოღვაწე: პედაგოგებს, მედიკოსებს, მეხანძრე-მაშველებს, პოლიციელებსა და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ერთგულად და მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს. სწორედ ასეთი ღირსეული ადამიანები ქმნიან უკეთეს მომავალს.

კიდევ ერთხელ ვულოცავ სრულიად საქართველოს, ბევრი პოზიტივი, სითბო, სიხარული, ხვავი და ბარაქა დაგბედებოდეთ!

ფეხბედნიერი წელი ყოფილიყოს!

მანუჩარ რობაქიძე,
თერჯოლის
მუნიციპალიტეტის მერი

გილოცავთ ახალ 2024 წელს!

სიკეთის, სიხარულისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ახალი წელი თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის და სრულიად საქართველოსთვის!

2023 წელს ჩვენმა ქვეყანამ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღო. მინდა აღნიშნული წარმატება მივულოცო ჩვენს ყველა მოქალაქეს. მჯერა, რომ მრავალი სიკეთე, რაც ევროპასთან ინტეგრაციას ახლავს თან, მალე აისახება თითოეულ ოჯახზე.

გასულ წელს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოქალაქეების ჩართულობით, განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით, ბევრი წარმატებული პროექტი განხორციელდა. ჩვენ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მუნიციპალიტეტის მერია კვლავაც ვიზრუნებთ, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტად განვითარებული და კეთილმოწყობილი გარემო შევუქმნათ თანამოქალაქეებსა და მუნიციპალიტეტის სტუმრებს.

2024 წელს მინდა ყველა ადამიანს წინსვლა და გაძლიერება ვუსურვო. დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლება და სამოქალაქო საზოგადოება, ერთმანეთის მხარდაჭერითა და ერთობლივი ძალისხმევით, შევძლებთ ჩვენი ქვეყნისათვის და თითოეული მოქალაქისათვის უკეთესი მომავლის შექმნას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს! გისურვებთ კეთილდღეობას, ჯანმრთელობას, მშვიდობას და ბედნიერებას!

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ახალი წლის პირველი სამუშაო შეხვედრა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, მოადგილე მირზა ქოჩიაშვილთან ერთად, ახალი 2024 წლის პირველი, გაფართოებული ფორმატის სამუშაო შეხვედრა, საახალწლო ორდღიანი დასვენების შემდეგ, პირველივე სამუშაო დღეს გამართა.

ამ შეხვედრაზე მერმა თანამშრომლებს პირველი მოადგილის თანამდებობაზე ზვიად ბაზაძე წარუდგინა და სამომავლოდ წარმატებული საქმიანობა უსურვა.

ზვიად ბაზაძეს აქვს საჯარო სამსახურში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, წლების განმავლობაში ერთგულად ასრულებდა ზედა სიმონეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოვალეობას. ზვიად ბაზაძე არის კვალიფიციური, მაღალი დონის პროფესიული საჯარო მოხელე, რომელიც გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებით, გუნდური მუშაობით, ეფექტური კომუნიკაციის უნარით და საქმეს ყოველთვის პასუხისმგებლობით ასრულებს.

შეხვედრაზე განიხილეს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ყურადღება გამახვილდა სოციალური მიმართულებით განსახორციელებელ პროგრამებზე, რომლებიც მოსახლეობის საჭიროებებზე იქნება გათვლილი.

ძველი და ახალი წლების გზაგასაყარზე...

რამდენიმე დღეა, რაც ახალმა, 2024 წელმა მიიღო ესტაფეტა წინამორბედი წლისაგან.

როგორც წესი, ამ დროს დიდი დაკვირვებით ჯამდება წინა წლის განმავლობაში გაკეთებული საქმეები, მიღწევები და განუხორციელებელი სურვილები...

ჩვენს ქვეყანას და ხალხს უთუოდ აქვთ საამაყო, რომ გასულ წელს კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით ევროპულ ოჯახში შესასვლელად და მივიღეთ ამ ოჯახის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი...

გასული წელი ხელშესახები შედეგებით დაასრულა თერჯოლის მუნიციპალიტეტმა.

მნიშვნელოვანი დადებითი შედეგებია საქმიანობის ყველა იმ მთავარი მიმართულებით, რომლებიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე არის ორიენტირებული.

წლის განმავლობაში საკრებულოსა და მერიის ერთობლივმა, შედეგებზე კარგად გათვლილმა თანამშრომლობამ პრაქტიკულად ყველა მუნიციპალური პროექტის შესრულება გახადა შესაძლებელი.

გასული წელი იმითაც იყო გამორჩეული, რომ 2024 წლის დადგომამდე, დროულად დამტკიცდა მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გასული წლის დეკემბერშივე, ჩააბარა ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ მუნიციპალიტეტის მერმა (იხ. გვ. 6-7 „წინ ერთად, წარმატებისათვის“).

ხაზგასასმელია, რომ თერჯოლის თვითმმართველობამ ასევე დროულად და თადარიგიანად იზრუნა მოსახლეობისათვის ამაღლებული საახალწლო განწყობის შესაქმნელად.

საერთო შეფასებით, წინასაახალწლო და ახალი წლის პირველმა დღეებმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში შეიტანა ის დადებითი მუხტი, რომ მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო შესაძლებლობის მაქსიმუმის ზღვარზე ცდილობდნენ ყველასათვის სიხარულის მინიჭებას.

ეს ზრუნვა რამდენიმე მიმართულებით იყო განსაკუთრებულად აქცენტირებული—რაც შეიძლებოდა მაქსიმალურად მოეცვათ საახალწლო საჩუქრებით მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენა, შშმ პირები, ბავშვები... ამასთან, მოეწყოთ ისეთი საახალწლო ღონისძიებები, რომლებიც დაუვიწყარ შთაბეჭდილებებად დარჩებოდნენ მნახველებისა და მონაწილეთა მეხსიერებაში.

მონდომებამ, პასუხისმგებლობამ და თავდაუზოგავმა მუშაობამ შედეგებიც შესაფერისი გამოიღო...

20 დეკემბერს აინთო საახალწლო ცენტრალური ნაძვის ხე, რაც საგანგებოდ აღინიშნა კიდეც.

გულს ახარებდა ახალი წლის შესახვედრად მზადების მთელი პროცესი—ქალაქ თერჯოლის საზეიმოდ მორთვა, განათებების მოწყობა, ქუჩებისა და სკვერების, საცხოვრებელი სახლების, დაწესებულებების, სხვადასხვა სავაჭრო თუ კერძო ობიექტების მოწესრიგება.

ბარბარობის წინა და შემდეგ დღეებში კი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა საახალწლო ნობათებით ეწვია სხვადასხვა სოციალური კატეგორიების ოჯახებს—მარტოხელებს თუ მრავალშვილიანებს, ბავშვებს...

რამდენიმე ოჯახში პირადად მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატ ელისო მურადაშვილთან და მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელ დიანა ფოცხვერაშვილთან ერთად იმყოფებოდა, თითოეულ მათგანს საახალწლო ნობათი გადასცა და შობა-ახალი წელი მიულოცა.

განსაზღვრულ ბენეფიციარებს ასეთი სასურსათო პაკეტები მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ორგანიზებით ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმა პირადად გადასცეს.

ამ სოციალურ აქტივობაში ჩართული იყო რძის პროდუქტების კომპანია „ზეკარი“. მადლობა მათ.

●საახალწლოდ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო მურადაშვილი და სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი მაია თორთლაძე ასევე ესტუმრნენ შშმ ბავშვთა სასწავლო-სარეაბილიტაციო დღის ცენტრების აღსაზრდელებს, ბავშვებს შობა-ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო საჩუქრები გადასცეს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ორი შშმ ბავშვთა სასწავლო-სარეაბილიტაციო დღის ცენტრია, სადაც საერთო ჯამში 23 აღსაზრდელი იღებს განათლებას.

მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და მხარდაჭერით ორივე დღის ცენტრს მათივე საჭიროებების მიხედვით გაეწია დახმარება.

დღის ცენტრი „საპოვნელა" ქ.თერჯოლის მე-3 საბავშვო ბაღის ახალ გარემოში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

ხელმძღვანელი პირები ზედა ალისუბნის საბავშვო ბაღში იმყოფებოდნენ, სადაც აღსაზრდელებმა, პედაგოგებთან ერთად საახალწლო თემატიკაზე პერფორმანსი წარმოადგინეს. ღონისძიებას ალისუბნის მაჟორიტარი დეპუტატი, ბადრი ბუცხრიკიძე, მერის წარმომადგენელი, გაგა აბჟანდაძე და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

●განსაკუთრებით ემოციური იყო მუნიციპალიტეტის მერის მანუჩარ რობაქიძის და მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელის დიანა ფოცხვერაშვილის სტუმრობა ქვედა სიმონეთში—ოჯახში, სადაც რვაწლიანი ლოდინის შემდეგ, ნანატრი შვილი და თანაც პატარა ვაჟკაცი, გვარის გამგრძელებელი ძე დაიბადა.

„მადლობა რეპროდუქციული მედიცინის კლინიკა „უნივერსს", მადლობა თერჯოლის მერიას ასეთი სიხარულის შესაძლებლობისათვის"—გაისმის ამ დღეებში ახლადშეძენილის მშობლების ოჯახში.

ბედნიერ საქართველოში ეცხოვროს ახალშობილს.

განვმარტავთ რომ კლინიკა „უნივერსსა" და მუნიციპალიტეტის მერიას შორის თანამშრომლობა მიმდინარე წელსაც გრძელდება.

●თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, მოადგილე მირზა ქოჩიაშვილთან, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატ ელისო მურადაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან ერთად იმ დაწესებულების თანამშრომლებს ესტუმრა, რომლებიც 24 საათის განმავლობაში ერთგულად ასრულებენ პროფესიულ მოვალეობას.

ხელმძღვანელმა პირებმა, სასაჩუქრე კალათები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და პოლიციის თანამშრომლებს გადასცეს, შობა-ახალი წელი მიულოცეს და წარმატებული საქმიანობა უსურვეს.

„დიდი პატივისცემით გილოცავთ შობა-ახალი წლის შემობრძანებას, განსაკუთრებით თქვენ, რომლებიც 24 საათის განმავლობაში, დაუღალავი შრომითა და პასუხისმგებლობით ასრულებთ საკუთარ მოვალეობებს, ზრუნავთ ჩვენი თანამოქალაქეების სიმშვიდესა და უსაფრთხოებაზე, მადლობა თანადგომისთვის"—განუცხადა მათ მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ.

ახალი წლის დღეებში საუკეთესო საახალწლო სიურპრიზი მიიღო თერჯოლის მოსახლეობამ ადგილობრივი თვითმმართველობისგან.

საახალწლო დღეებში თერჯოლის ქუჩებში გამოჩნდნენ თოვლის ბაბუასთან ერთად საახალწლო ფორმაში გამოწყობილი გოგონები. ქალაქის მასშტაბით, თოვლის ბაბუებისა და მშვენიერი ელფების რამდენიმე ჯგუფმა ორგანიზაციებს, მოქალაქეებს და ბავშვებს ახალი 2024 წელი მიულოცა, საახალწლო საჩუქრები და ტკბილეული დაურიგა.

სადღესასწაულო აქტივობა თერჯოლაში დილიდან დაიწყო და რამდენიმე საათში ქალაქი სრულად მოიცვა.

აღსანიშნავია, რომ თერჯოლაში, ასეთი ტიპის მასშტაბური საახალწლო მსვლელობა, პირველად მოეწყო, რაც მოსახლეობამ კარგად მიიღო და მისი ტრადიციულად დამკვიდრება ისურვა.

ძველი და ახალი წლების გზაგასაყარზე...

მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით

ყოველ დღეს გააჩნია რაღაც ახალი, ადამიანები ვეძებთ სიხარულს, შინაგან და გარეგან მშვიდობას, მშვიდობას საკუთარ თავთან, გარშემომყოფებთან, ვეძებდით სიხარულს და მოგვეცა კიდეც. 2023 წელი უკვე წარსულია. ვეგებებით 2024 წელს ლამაზად. ღირსეულად ზეიმობდა თერჯოლა, თითოეული ადამიანი, განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ახალი წლის დღეები ახალგაზრდა თაობისათვის და პატარებისათვის.

2023 წლის 29 დეკემბერი ლამაზ ფურცლად დარჩება მუნიციპალიტეტის ისტორიაში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის მერიის შენობის წინ და მიმდებარედ საახალწლო ღონისძიება გაიმართა, რომელიც 14 საათზე ორკესტრის და კოსტიუმირებული გმირების მსვლელობით დაიწყო, მოეწყო საშობაო ბაზრობა, ადგილობრივი ნაწარმის და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, საბავშვო სივრცეები, საახალწლო ორცხობილების მოხატვა, ნაძვის ხის სათამაშოების გაფერადება, დამზადდა ხის ფიგურები, სათამაშოები, მისალოცი ბარათები, პატარები იხატავდნენ სახეს, მიმდინარეობდა მუსიკალური ინსტალაცია „ლაპლანდია“, ორკესტრთან ერთად ზღაპრის გმირების მსვლელობამ და სანტასთან შეხვედრამ გაახალისა პატარები. ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ: დავით მაზანაშვილი და ბენდი, გიგა ჯალაღონიას ტრიო, აჩიკო ბერიძე, არჩილ ცანკაშვილი, თემურ ყვითელაშვილი, დათო არჩვაძე, ელენე ფოჩხუა, სოფო პაპუაშვილი, სოფო ბედია, მაგდა ნიკოლეიშვილი, ნინუცა ბედიაშვილი, ნინი შერმადინი, გელა დონაძე და ანუკი ცქვიტინიძე.

20 საათზე საზეიმო კონცერტი ფოიერვერკმა დაამთავრა. ღონისძიება მიჰყავდა კახა მიქიაშვილს და მაია დათუნაშვილს.

ტრადიციული 31 დეკემბერი—ღამის თერჯოლა

31 დეკემბერს, ახალი წლის ღამეს, ყოველთვის ახლდა განსაკუთრებული სითბო და ელფერი. ასე იყო წელსაც—თერჯოლელები ერთად შეეგებნენ 2024 წლის შემობრძანებას.

ნაძვისხე ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე აინთო.

31 დეკემბერს მთავარ ნაძ-ვისხესთან მოქალაქეები ახალ წელს ულოცავდნენ ერთმანეთს. ახალი წლის ღონისძიებას ესწრებოდნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, საკრებულოს დეპუტატები, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, სოფლების წარმომადგენლები, სამსახურების ხელმძღვანელები.

საახალწლო ღონისძიება ფო-ლკლორული ანსამბლის მონაწილეობით დაიწყო. სიმღერის ანსამბლებმა: იმერეთი, მასპინძელო, გოგონათა კვარტეტმა, ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა: იმერეთი, ჯეოგენი, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის სამეჯლისო ცეკვებმა და მუსიკალურმა ნომერმა, მოწვეულმა მუსიკოსმა, ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მევიოლინემ ია ჭარხალაშვილმა მოხიბლა მაყურებელი. გაიმართა მუსიკალური ინსტალაცია „ლაპლანდია“, ღონისძიება მიჰყავდა ლიზი ნეფარიძეს და ბაქარ კირკიტაძეს.

მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა ახალი წელი მიულოცეს თერჯოლის მოსახლეობას.

ღონისძიება ფოიერვერკით დასრულდა.

საახალწლო კარნავალზე

გაიმართა საახალწლო კარნავალი მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მიერ.

სცენაზე 155 მონაწილე ცვლიდა ერთმანეთს, ერთმანეთზე უკეთესები გარეგნობით, სიმღერის, ცეკვის, მხატვრული კითხვის ნიჭით გამორჩეულები, კარგ მხატვრულ ნომრებს შესაბამისი ჩაცმულობა, ვარცხნილობა და საახალწლო აქსესუარები ალამაზებდა. სხვადასხვა ქვეყნის ცეკვებმა, სიმღერებმა, ზღაპრის გმირებმა მოხიბლა მაყურებელი და ვიხილეთ „ბოშები“, „ინდოელები“... მერე „დრაკონიც“ გამოჩნდა. 2024 წელი „ბედნიერი და ყაირათიანი იქნება, მომქანცველი, მაგრამ ბრწყინვალე, ჯილდოები, დიდი დღესასწაულები“... რა გითხრათ, ასე გვპირდება დრაკონის წელი.

გამოიკვეთა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის შრომისმოყვარე კოლექტივის ერთიანობა, ერთსულოვნება, საქმის კარგად ცოდნა, პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების თანამშრომლობა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელმა ნინო ოქრუაძემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს ბატონ მანუჩარ რობაქიძეს თანადგომისა და დახმარებისათვის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და დამსწრეთ მობრძანებისთვის.

თავის მხრივ ბატონმა მანუჩარმა ახალი წელი მიულოცა და მადლობა გადაუხადა პედაგოგებს და მონაწილეებს, რამდენიმე სიტყვით ყველაფერი თქვა—„მე ბევრჯერ გავსულვარ ამ დარბაზიდან თქვენით კმაყოფილი, მაგრამ დღევანდელმა ღონისძიებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა“-ო—აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, თავმჯდომარის მოადგილეები: დავით გოგბერაშვილი, ჯემალ ისაკაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე.

დარბაზში, იღბლიან სკამზე მჯდომმა 11 ადამიანმა მიიღო პრიზი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

ღამაზი დღე იყო, დასამახსოვრებელი.

ჟუჟუნა ცხადაძე

ძველი და ახალი წლების გზაგასაყარზე...

საახალწლო „გამოცდა“ თოვლით...

24-25 დეკემბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტში გადაუღებლად თოვდა. თოვლის საფარის სიმაღლემ ზედა სოფლებში ორმოცდაათ სანტიმეტრს გადააჭარბა.

პირველივე თოვლცვენის შემდგომ დილიდანვე შეუდგა მუნიციპალიტეტის მერია გზების ინტენსიურ გაწმენდით სამუშაოებს.

მერის, მანუჩარ რობაქიძის დავალებით, მობილიზებული იყო შესაბამისი ტექნიკა. გაწმენდითი სამუშაოები მთელი დღის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა.

ოპერატიულად გაიწმინდა ქალაქის ტერიტორია და ადმინისტრაციულ ერთეულებში მისასვლელი ცენტრალური გზები.

უხვმა ნალექმა მნიშვნელოვნად დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები, ღამის განათებები სოფლებში, ინტერნეტის ხაზები, ზოგგან დროებით შეწყდა ელექტროენერგია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ შესაბამისმა საავარიო ჯგუფებმა თავდაუზოგავად იმუშავეს და აღადგინეს დაზიანებები. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ოპერატიულად ეს თერჯოლის „საქორგაზის“ თანამშრომლებმა შეძლეს.

საახალწლო-საშობაო კონცერტი სამუსიკო სკოლაში

ვაჟა კუბლაშვილის სახელობის თერჯოლის სამუსიკო სკოლა, სახელოვნებო განათლების ერთ-ერთი მძლავრი კერაა, სადაც მოსწავლეთა მუსიკალურ განათლებას მყარი საფუძველი ეყრება. ამის დასტურია როგორც სკოლაში გამართული კონცერტები, თუ რაიონულ ღონისძიებებში სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნომრები, აგრეთვე მათი წარმატებული მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით თუ მის ფარგლებს გარეთ.

29 დეკემბერს, სამუსიკო სკოლაში გამართულმა საახალწლო-საშობაო კონცერტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სკოლა, მისი პედაგოგიური კოლექტივი, ვალერი კუბლაშვილის ხელმძღვანელობით, თერჯოლელ ნიჭიერ აღსაზრდელებთან ერთად არა თუ საუკეთესოდ აგრძელებენ სკოლის მრავალწლიან ტრადიციებს, კიდევ უფრო დახვეწილ, გემოვნებითა და საშემსრულებლო ოსტატობით მომზადებულ კონცერტს სთავაზობენ მაყურებელს.

დარბაზში მაყურებელთა სიმრავლეა, სკოლის დირექტორი ვალერი კუბლაშვილი მიესალმა შეკრებილ საზოგადოებას და დამდეგი ახალი წელი მიულოცა თითოეულს.

კონცერტი, რომელშიც სკოლის აღსაზრდელთა უმრავლესობა მონაწილეობდა თითქმის საათნახევარი გაგრძელდა.

სცენაზე საახალწლო ნაძვის ხესთან საინტერესო მუსიკალური ნომრებითა და სიმღერებით ერთმანეთს ცვლიდნენ ლამაზი გოგო-ბიჭები. კონცერტი აპლოდისმენტების ფონზე მიმდინარეობდა. შესრულდა როგორც ქართველ, ასევე საზღვარგარეთის ცნობილ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ნორჩი „ხელოვანები“ ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ და როგორც ფორტეპიანოზე, ასევე გიტარაზე მაღალ დონეზე შესრულებულ ნომრებს სთავაზობდნენ მაყურებლებს.

კარგი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე სამუსიკო სკოლის მომღერალმა გაერთიანებულმა გუნდმა, ხალხურ საკრავთა ანსამბლმა.

საახალწლო-საშობაო კონცერტში მონაწილეობდნენ პედაგოგების: გულთამზე კუბლაშვილის, შორენა არაბიძის, გიული გრძელიშვილის, ნორა პერანიძის, დალი ჯიხაევას, მერი ჯიშკარიანის, ლელა ცხადაძის, ვალენტინა სახელაშვილის, ეთერ კაკოიშვილის, მაკა კუტივაძის, რუბენ რობაქიძის და რამაზ მემანიშვილის აღსაზრდელები.

კონცერტს დიდი ხიბლი შესძინა თავად სკოლის დირექტორის მიერ, როგორც ილუსტრატორის შესრულებულმა სიმღერამ მოსწავლის აკომპანიმენტთან ერთად.

დასასრულს შეკრებილ მაყურებლებს, სკოლის აღმზრდელებსა და კონცერტში მონაწილე მოსწავლეებს დამდეგი ახალი წელი მიულოცა სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის ცენტრის დირექტორის მოადგილემ შორენა ბოჭორიშვილმა, სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებს კი საახალწლო საჩუქრები გადაეცათ.

მზია ცქიფურიშვილი

სამხატვრო სკოლის საახალწლო გამოფენაზე



მოახლოებული ახალი წლის სიხარულისა და ბედნიერების ხიბლი დავანებულა სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში. ეს სიხარული და ბედნიერება უპირველესად იმ ნორჩ შემოქმედთა კუთვნილებაა, რომელთა ნამუშევარი საახალწლოდ პირველად გამოიფინა. თუმცა, ყოველი გამოფენა სამხატვრო სკოლაში ყველას ერთნაირად ახარებს—მოსწავლეებს, პედაგოგებს, მოსწავლეთა მშობლებს თუ დამთვალიერებლებს.

მრავალფეროვნებითა და მრავალსახეობითაა გამორჩეული წლევანდელი საახალწლო გამოფენა, რომელიც ამ დღეებშიც შეგიძლიათ დაათვალიეროთ. გამოფენა სკოლის 95 მოსწავლის ნამუშევარს აერთიანებს და ყველა ერთად ისეთ სილამაზეს ჰქმნის, თავი სამოთხეში გგონია.

ნორჩი „მხატვრების“ ფანტაზიას და ხატვის სიყვარულს საზღვარი არ აქვს. უნდა ნახოთ, რა თავმომწონედ დგანან თავიანთ ნამუშევრებთან და როგორ შეჰყურებენ თვალებში დამთვალიერებლებს.

სკოლის დირექტორი, ქალბატონი თამარ ღარიბაშვილი: „მილოცვით უნდა დავიწყო და მისალოცი ნამდვილად მნიშვნელოვანი გვაქვს: უპირველესად კი ეს არის საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა დიდი ევროპული ოჯახისაკენ, რომელზედაც წარსულშიც ოცნებობდნენ და დღესაც ოცნებობენ ადამიანები, რომლებმაც კარგად უწყიან რა სასიკეთო გარანტიებიც უნდა მოუტანოს ევროკავშირის წევრობამ ჩვენს პატარა ქვეყანას მისი შემდგომი განვითარებისათვის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული თუ თავდაცვის გაძლიერებისათვის.

„ჩემო პატარებო“—მიმართა მან აღსაზრდელებს, საქართველო აუცილებლად გახდება ევროპის ნაწილი და ამით ვერავინ მოახერხებს ჩვენი მენტალობის, კულტურის, ტრადიციებისა თუ ადათ-წესების ხელყოფას, როგორც ადამიანთა მცირე ნაწილს სოციალური ქსელით სურს წარმოაჩინოს... არავინ არ შეგიყვანოთ შეცდომაში... ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიზეიმოთ და ვისარგებლოთ ევროკავშირის წევრობით და იმ სიკეთით, რასაც მომავალში ჩვენი ქვეყანა მიიღებს.

ახლა კი დამდეგი ახალი წელი უნდა მოგილოცოთ. ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და წარმატებები მოეტანოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისათვის ხვავი და ბარაქა, ბედნიერი ფერად დღეთა სიმრავლე.

უნდა მოგილოცოთ დღევანდელი დღე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღე თქვენს ცხოვრებაში—თქვენი მონაწილეობით საახალწლო გამოფენის გახსნა. მრავალი გამოფენა და წარმატებები გქონოდეთ ცხოვრებაში.

შემდეგ თამარმა ისაუბრა მოსწავლეების უპრეცედენტო რაოდენობაზე, რაც სამხატვრო სკოლაში სწავლის მსურველთა დიდმა რაოდენობამ გამოიწვია. მოსწავლეთა ყველა ნაკადში ყოველთვის არის ახალი „აღმოჩენა“, რომელიც შემდეგში თავის სათქმელს ამბობს ხელოვნების გზაზე.

სკოლას საამაყოდ აქვს, მათი სკოლა დამთავრებული 12 თერჯოლელი არქიტექტორის საქმიანობა, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობენ.

როგორც თამარი ამბობს: წელს 5 ბავშვი მიიღებს სკოლის დამთავრების მოწმობას და ხუთივე სამხატვრო აკადემიაში აპირებს სწავლის გაგრძელებას, ანუ მათი სურვილია გაჰყვეს ხელოვნების ამ ურთულეს გზას“.

ნორჩ მხატვართა საახალწლო გამოფენამ კიდევ ერთხელ აჩვენა და დაადასტურა, რომ თერჯოლაში მართლაც ბევრი, ხატვის ნიჭით დაჯილდოებული ბავშვია და მათთან მუშაობა ძალიან სასიამოვნოცაა. წარმატება ვუსურვოთ თითოეულ მათგანს.

იყო საახალწლო მილოცვები და ტრადიციულად საახალწლო საჩუქრები მუნიციპალიტეტის მერიისაგან. ნორჩი მხატვრები და მათი მშობლები ლამაზად შეფუთული სასაჩუქრე ნობათით და მადლიერების გრძნობით ტოვებდნენ სკოლის შენობას. ახალი, 2024 წლიდან ისინი კვლავ სიხარულით ესტუმრებიან საყვარელ და კეთილ გარემოს და მეტი ენთუზიაზმით გააგრძელებენ საყვარელი საქმის დაუფლებას.

მზია ცქიფურიშვილი

„წინ ერთად, წარმატებისათვის“

ამ მეტად მრავალმნიშვნელოვანი სლოგანით დაამთავრა 28 დეკემბერს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ საანგარიშო მოხსენება გასულ წელს გაწეული მუშაობის შესახებ. მოხსენება კი ასე დაიწყო: „წარმოგიდგენთ ანგარიშს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების მიერ 2023 წელს ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით ვეცდები სრულყოფილად შევეხო, თუ რა სამუშაოები გავწიეთ და რა სახის პროექტები განვახორციელეთ. ასევე, რა ხედვები გვაქვს ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისა და პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით“.

ანგარიშის წარმოდგენას უპირველესად დავიწყებ ბიუჯეტით, რომელიც მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებით დამტკიცდა 16 500 000 ლარის ოდენობით.

2023 წლის თერთმეტ თვეში ბიუჯეტის ცვლილება 19-ჯერ განხორციელდა და პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში მისი მატების მიმართულებით შედეგად ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 31 643 300 ლარით ანუ 2023 წელს ბიუჯეტის ზრდამ შეადგინა—15 143 300 ლარი; საფინანსო-საბიუჯეტო მიმართულებით შექმნილმა სტაბილურმა მდომარეობამ ჩვენ საშუალება მოგვცა გაბედულად დაგვეგეგმა სხვადასხვა გადაუდებელი პროექტების განსახორციელებელი ხარჯები.

პირველ რიგში ყურადღება მინდა დავუთმო სოციალურ პროგრამებს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წელს მოქმედებდა 14 სოციალური პროგრამა, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

საანგარიშო პერიოდში დღეის მდგომარეობით სოციალური პროგრამებით ისარგებლა 4 834 ოჯახმა, რისთვისაც გაიხარჯა 1 539 511 ლარი. სოციალური პროგრამების ბიუჯეტი წლის დასაწყისისათვის იყო 1 280 000 ლარი, რომელმაც რამდენჯერმე განიცადა ცვლილება და წლის ბოლოსთვის ამ თანხამ შეადგინა 1 542 000 ლარი. ახლა კი ინდივიდუალურად შევეხოთ ყველა პროგრამას:

1. 2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ერთჯერადი პროგრამის“ ფარგლებში ხდება ოპერაციებისა და გამოკვლევების დაფინანსება.

აღსანიშნავია, რომ გასული წლიდან მოქალაქეებს თავიანთი შემოსავლების გათვალისწინებით მეორედაც შეუძლიათ ისარგებლონ აღნიშნული პროგრამით. პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 292 843 ლარი 982 მოქალაქეზე. პროგრამის ბიუჯეტი წლის დასაწყისისთვის იყო 250 000 ლარი. სოციალური პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 293 000 ლარი.

2. „უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამის“ ბიუჯეტი შეადგენდა 27 200 ლარს. ამ პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 12 უსახლკარო ოჯახს, რისთვისაც გაიხარჯა 27 150 ლარი.

3. „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამიდან“ დახმარების თხოვნით მოგვმართა და დახმარება მიიღო 55 ბენეფიციარმა, რომლებსაც ყოველთვიურად ერიცხებოდათ 60 ლარი. 2023 წელს ამ პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 39 240 ლარი.

4. „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური და მხარდაჭერის პროგრამიდან დახმარება გაეწია ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ 180 ბენეფიციარს, თითოეულს 150 ლარი ერთჯერადად. პროგრამის ბიუჯეტი 2023 წელში შეადგენს 27 000 ლარს.

5. „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი მოქალაქეების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი წლის დასაწყისისთვის იყო 200 000 ლარი, პროგრამაში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება და პროგრამის ბიუჯეტი წლის ბოლოსთვის გახდა 265 700 ლარი. ამ დროისათვის დახმარება გაეწია 1794 ოჯახს. პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად იქნა გახარჯული.

6. „თერჯოლის მუნიციპალიტეტში დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებულ ბენეფიციართა დახმარების პროგრამის“ ბიუჯეტია 95 000 ლარი, მიმდინარე წელს ისარგებლა 31 ბენეფიციარმა. თითოეულს ყოველთვიურად ერიცხება 250 ლარი. პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 94 750 ლარი.

7. „საკვები პროდუქტების დახმარების“ პროგრამა. ამ პროგრამით სარგებლობისათვის თხოვნით შემოსულ განცხადებებს განიხილავს „მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელი შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფი“, რომლის რეკომენდაციის საფუძველზე დახმარება გაეწია 1 448 მოქალაქეს, რისთვისაც გაიხარჯა 113 563 ლარი. პროგრამის ბიუჯეტია 114 000 ლარი.

8. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა“, რომლის ბიუჯეტია 51 600 ლარი. პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 85 ოჯახს, რისთვისაც პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად გაიხარჯა. საანგარიშო პერიოდში დაიბადა 189 ახალშობილი. მათ შორის: გოგონა—85; ვაჟი—104. ტყუპები—4.

9. „უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი მოქალაქეების დახმარების“ პროგრამა ითვალისწინებს ყოფილი უფასო სასადილოს ბენეფიციარების დახმარებას. ამჟამად პროგრამით სარგებლობს 2 ბენეფიციარი, რომლებსაც ყოველთვიურად ერიცხებათ 70 ლარი. პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 1680 ლარი.

10. „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამის“ ბიუჯეტია 31 000 ლარი. პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად დახმარებას იღებენ ფენილკეტონურიით დაავადებული მოქალაქეები, რომელთა დახმარება შეადგენს 300 ლარს და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვიანი ოჯახები, რომელთა დახმარება შეადგენს - 100 ლარს. ფენილკეტონურიით დაავადებულია-4 ბენეფიციარი, დიაბეტიანია-11 ბავშვი.

11. „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის პროგრამის” ბიუჯეტია 45 600 ლარი. დახმარების მისაღებად მოგვმართა და დახმარება გაეწია 46 მარტოხელა მშობელს, რისთვისაც პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად გაიხარჯა.

12. „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების პროგრამის“ ფარგლებში ისარგებლა შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე 17 ბენეფიციარმა.

13. „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამის” ბიუჯეტია 524 000 ლარი. პროგრამის მიზანია დაეხმაროს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას. ამასთანავე, პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას. მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ბიუჯეტია 472 000 ლარი. ხოლო საცხოვრებელი სახლებისათვის, რომლებიც დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას - ბიუჯეტი განსაზღვრულია 52 000 ლარით. სახლდაზიანების პროგრამით ისარგებლა 54 - მა ოჯახმა.

14. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სარიტუალო მომსახურების თანხით, რომელიც განხორციელებულია მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, დახმარება გაეწია 4 გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახს—თითოეულს 250 ლარით. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ შშმ ბავშვთა სასწავლო სარეაბილიტაციო ცენტრ „იმედის სხივსა“ და „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრს“ 2023 წელს გადაურიცხა 13 000 ლარი.

15. სოციალური სამსახურისა და საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ჩართულობით გადასაადგილებელი ეტლი გადაეცა 20 შშმ პირს.

16. საანგარიშო წელს პირველად ამოქმედდა „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების“ პროგრამა, რომლის ბიუჯეტი 2023 წლის 14 თებერვლის N გ-29. 29230453 განკარგულებით შეადგენდა 10 000 (ათი ათასი) ლარს. პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 15 000 ლარამდე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 20 ოჯახი. შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის ტექნიკა.

ინფრასტრუქტურული პროექტები

2023 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რეგიონული განვითარების ფონდიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა 15 სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი. აღნიშნული სამუშაოებისათვის რგფ-დან გამოყოფილია 4 543 417 ლარი.

—სოფ. ბარდუბანში ავტობანთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები, რომლის ფარგლებში მოეწყო რკინა-ბეტონის საფარი გზის 1000 მ-იან მონაკვეთზე, აღნიშნული სამუშაოებისათვის დაიხარჯა 274 400 ლარი.

—2023 წელს დაიწყო ქ. თერჯოლაში კოსტავას ქ. N 4-ში მდებარე შენობაში არსებული მოსწავლეახალგაზრდობის ცენტრის დარბაზის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტი გარდამავალია და ღირებულება შეადგენს 284 100 ლარს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა სცენა, განათება, შეიცვლება ინვენტარი, მოწესრიგდება სამუშაო და სასწავლო ოთახები, მოეწყობა სველი წერტილები, დამონტაჟდება გაგრილება-გათბობის სისტემა.

—2023 წელს განხორციელდა სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 1800 მ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია არმირებული ბეტონის საფარით, სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 503 506 ლარი, დარჩენილი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია დაგეგმილია 2024 წელს.

—განხორციელდა სოფ. ღვანკითი-თერჯოლის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ფარგლებში მოეწყო 2000 გრძ/მ ასფალტის საფარი. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 895 833 ლარი. სამუშაოები დაიწყო 2022 წელს, დღეის მდგომარეობით მთლიანად დასრულებულია.

—სოფ. გოდოგანში განხორციელდა ჭიჭინაძეების უბანთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში მოეწყო 2 კმ-მდე არმირებული ბეტონის საფარიანი გზა. სამუშაოების განხორციელებისათვის დაიხარჯა 485 499 ლარი. ამ ეტაპისათვის დასრულებულია პროექტის პირველი ეტაპი. იგეგმება პროექტის მეორე ეტაპის გაგრძელება.

—სოფ. კვახჭირში მოხდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია არმირებული ბეტონის საფარით, რისთვისაც გამოყოფილი იქნა 285 495 ლარი. პროექტის ფარგლებში მოეწყო 1000 გრძ/მ არმირებული ბეტონის საფარიანი საავტომობილო გზა და სანიაღვრე სისტემა.

—განხორციელდა სოფ. ძევრში ჩხარი-ეწერთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები, პროექტის ფარგლებში მოეწყო 1 კმ-მდე ა/ბეტონის საფარიანი გზა, სამუშაოების განხორციელებისათვის დაიხარჯა 186 575 ლარი.

—განხორციელდა სოფ. ქვედა და ზედა ალისუბნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში მოეწყო 1 კმ არმირებული ბეტონის საფარიანი გზა, სამუშაობზე დაიხარჯა 277 003 ლარი.

—განხორციელდა ქ. თერჯოლაში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში მოეწყო 1300 მ-მდე ა/ბეტონის საფარიანი გზა. სამუშაოებისთვის დაიხარჯა 210 624 ლარი.

☞7

6 ☞

„წინ ერთად, წარმატებისათვის“

—სოფ. გოდოგანში ჩატარდა ხორხის უბანთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში მოეწყო 500 მ-მდე ა/ბეტონის საფარიანი გზა, სამუშაოების განხორციელებისათვის დაიხარჯა 103 954 ლარი. 2023-2024 წლებში განხორციელდება მდინარე საბანელას ხიდიდან სოფ. ჭალასთავთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის პირველი ეტაპი დასრულებულია. მოეწყო 1 კმ-მდე არმირებული ბეტონის საფარიანი გზა, სამუშაოების განხორციელებისათვის 2023 წელს დაიხარჯა 200 000 ლარი. გზის სრული სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 387 700 ლარს.

—ქ. თერჯოლაში, ვაჟა-ფშაველას მე-6 ქუჩის შესახვევში განხორციელდა საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები, პროექტის ფარგლებში მოეწყო 700 მ-მდე ა/ბეტონის საფარიანი გზა. სამუშაოებისათვის დაიხარჯა 98 432 ლარი.

წყალმომარაგება

—სოფ. ახალთერჯოლაში 2021-2023 წელს მიმდინარეობდა სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში სასმელი წყალი უნდა მიეწოდოს 530 ოჯახს. პროექტის ფარგლებში მოეწყო სატუმბი სადგური, მიმწოდებელი და დამცლელი მაგისტრალი, მოხდა გამრიცხველიანება, საქლორატორო. სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წელს. სამუშაოების ღირებულება შეადგენს 2 138 227 ლარს.

—2023 წელს დასრულდა სოფ. ჩხარში წყლის დებეტის გაზრდის მიზნით წყლის მიმწოდებელი სისტემისა და სატუმბი სადგურის მშენებლობის სამუშაოები, პროექტის ფარგლებში ასევე მოხდა გამრიცხველიანება, სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს 584 491 ლარს.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია

2023 წელს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარების მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოიყო 970 000 ლარი: 2023 წლის იანვრის თვეში ძლიერი ქარის შედეგად ზიანი განიცადა როგორც კერძო მოსახლეობამ, ასევე მუნიციპალურ ბალანსზე არსებულმა ინფრასტრუქტურამ და მრავალბინიანმა საცხოვრებელმა ოთხმა სახლმა, ასევე, ადმინისტრაციულმა შენობებმა და საბავშვო ბაღებმა. აღნიშნული ზიანის აღმოფხვრის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხით მოხდა სამშენებლო მასალების შესყიდვა და მიწოდება, ხოლო მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.

2023 წლის თებერვლის თვეში კი მოსული უხვი ნალექის შედეგად დაზიანდა 5 საცხოვრებელი სახლი, რომელთა სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა სტიქიის ფონდიდან გამოყოფილი თანხით. ასევე სტიქიის შედეგად დაზიანდა ჩხარი-ზედა ალისუბნის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე არსებული ხიდ-ბოგირი, რომლის აღდგენის მიზნით სამუშაოები ამჟამადაც მიმდინარეობს, სამუშაოები დასრულდება უახლოეს მომავალში. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 132 000 ლარს.

ადგილობრივი ბიუჯეტით:

მუნიციპალიტეტმა, მიმდინარე წელს, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით შეასრულა ადგილობრივი დანიშნულების ა/ბეტონის საფარიანი გზების ორმულად დამუშავება (410 546 ლარი). ასევე, 10 სოფელში მოეწყო ფიტნეს-ტრენაჟორები, რისთვისაც გამოყოფილი იქნა 212 898 ლარი. ბარათაშვილის ქუჩაზე არსებულ საავტომობილო გზას ჩაუტარდა რეაბილიტაცია ღირებულებით—111 446 ლარი. ქ. თერჯოლაში, 4 ძმის ქუჩაზე მოეწყო მე-3 ბაღთან მისასვლელი საავტომობილო გზა, ღირებულებით 95 999 ლარი. ასევე, რეაბილიტირდა რუსთაველის ქუჩაზე არსებული გმირთა მემორიალი ღირებულებით 29 893 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტით მოეწყო რუსთაველის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ მინისტადიონი. სახელშეკრულებო ღირებულებით - 65 747 ლარი.

საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამა

ამ პროგრამით ქ. თერჯოლაში კიდევ ერთი კომფორტული დასასვენებელი სივრცე მოეწყო, დასკვნით ეტაპზეა სოფელ ძევრში რეკრეაციული სივრცის მოწყობა. მინდა უფრო ვრცლად შევეხო ძევრში ახალ ტურისტულ სივრცეს, რომელიც უახლოეს პერიოდში გაიხსნება.

2021-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტების ფონდიდან მიმდინარე წელს დაფინანსდა ტურისტებისათვის ბუნებისა და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში სოფელ ძევრში საგვარჯილეს მღვიმეების მიმდებარედ არსებული რეკრეაციული ზონის მოწყობა 1 200 000 ლარით. ამ დროისთვის დასრულებულია საგვარჯილეს მიმდებარე ტერიტორიაზე გაბიონებისა და მდ. ძერულაზე გადასახედების, საინფორმაციო ცენტრის, საპიკნიკე ფანჩატურების, გამოქვაბულებამდე მისასვლელი ბილიკის მშენებლობა, პარალელურად მოეწყო გამწვანება.

დაიწყო და მიმდინარეობს ძევრის საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა, რომელიც ფუნქციონირებას შეუდგება 2025 წლის იანვრიდან.

2021-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტების ფონდიდან, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მოდერნიზაციის მიზნით, ქ.თერჯოლაში, მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ მოეწყო არსებული ღია ამფითეატრი, მის მიმდებარედ, არსებული შენობა-ნაგებობების ფასადებისა და სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია- 568 600 ლარით. სკვერი „ლაშა გოგიაშვილის“ სახელობისაა.

პროგრამის „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში თერჯოლაში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია განხორციელდა.

მუნიციპალიტეტს გაფორმებული მემორანდუმის თანახმად გამოეყო სოფ. ბარდუბნის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციოდ თანხა, რომლის ფარგლებში მოხდა სკოლის კოსმეტიკური რემონტი, მოეწყო სპორტული დარბაზი და ცენტრალური გათბობა ღირებულებით 196 708 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

ამ პროგრამის ფარგლებში, 2023 წელს, 79 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

ახალმოსახლეობა იზეიმა თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღმა. თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ ძალიან ლამაზ შენობაში. საბავშვო ბაგა-ბაღის ყველა სივრცითი ფართი აღჭურვილია შესაბამისი საბავშვო და ორგანიზაციული მართვისთვის საჭირო ინვენტარით. აღნიშნული ბაღის მშენებლობა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და მისმა ღირებულებამ შეადგინა 2 362 105 ლარი, 200 000 ლარი კი დაიხარჯა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღსაჭურვად.

***

ანგარიშის ამ უმთავრესი ნაწილების წარმოდგენის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერმა დაწვრილებით ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მერიის სამსახურების მიერ გაწეულ საქმიანობაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი მკითხველი მათ მუშაობაზე პერიოდულად ღებულობდა ინფორმაციებს და ამასთან, გადავწყვიტეთ, რომ მოხსენების ეს ნაწილი ჩვენი გაზეთის მომავალ ნომრებში წარმოგიდგინოთ გარკვეული ფორმით. მერის საანგარიშო მოხსენებას კი დღევანდელ გაზეთში მისი დასკვნითი ნაწილით დავამთავრებთ, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

***

მოხსენების დასკვნით ნაწილში მუნიციპალიტეტის მერმა თქვა:

— დასკვნის სახით მინდა გითხრათ, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტი გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობაა.

თვეში ორჯერ გამოდის მერიის მიერ დაფინანსებული გაზეთი

„თერჯოლა“, სადაც სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაციები მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე, მიმდინარე და დასრულებულ ინფრასტრუქტურულ და სხვა პროექტებზე. გაზეთის ელექტრონული ვერსიები ქვეყნდება როგორც გაზეთის ფეისბუქგვერდზე, ასევე მუნიციპალიტეტისა და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდებზე, რაც ჩვენს საქმიანობაზე მოსახლეობის ინფორმირების ეფექტური საშუალებაა.

ასევე, მერიაში მოქმედ ოფიციალურ ფეისბუქგვერდისა და ვებგვერდის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მოგვაწოდონ მოსაზრებები და წინადადებები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედებს მოქალაქეთა ჩართულობის ისეთი ფორმა, როგორიცაა „მრჩეველთა საბჭო“, რომელიც შეიქმნა და დაკომპლექტდა საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებით.

საანგარიშო პერიოდში პირველად განხორციელდა ინიციატივა, რომლის ფარგლებში ჩვენი საჯარო სკოლების 50 კურსდამთავრებულს, რომლებმაც მოიპოვეს სახელმწიფო გრანტი, გადაეცათ ფულადი ჯილდო. 100 % - იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელ 8 მოსწავლეს, თითოეულს—400 ლარი, 70 % -იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელ 12 მოსწავლეს, თითოეულს 300 ლარი, 50 % - იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელ 30 მოსწავლეს, თითოელს - 200 ლარი. სულ გაიცა 17 400 ლარი.

ასევე, 2022-2023 სასწავლო წლის კერძო და საჯარო სკოლის 74 კურსდამთავრებულებს, რომლებიც გახდნენ ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები, გადაეცათ ფულადი ჯილდო. 61 ოქროს მედალოსანს—200-200 ლარი, 13 ვერცხლის მედალოსანს—100-100 ლარი, სულ ჯამში 13 500 ლარი. მერისგან, ასევე გადაეცემათ სამახსოვრო საჩუქრები.

აქვე მინდა გამოვყო, ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივითა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ჩართულობით თერჯოლის ორი დამსახურებული პედაგოგის: დალი სარალიძსა და ეთერ ტურავას გამოვლენა, რომელთაც ფულადი ჯილდო 500 - 500 ლარის ოდენობით გადაეცათ.

ამავე დროს აღსანიშნავია თერჯოლის საპატიო მოქალაქეები, რომლებსაც თერჯოლის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ. (ლაშა გოგიაშვილი; დარეჯან ჯაფარიძე, გივი ლობჟანიძე, სოსო გიორგაძე);

მინდა აღვნიშნო მერიის თანამშრომელთა დამოკიდებულება და პასუხისმგებლობა უფლებამოსილების განხორციელების მიმართულებით. ამ შემთხვევაში იგულისხმება ყველა მტკივნეული საკითხების მოგვარება, მოსახლეობის მდგომარეობის გათვალისწინება და შეძლებისდაგვარად კანონის ფარგლებში დადებითად გადაწყვეტა.

ჩემი, როგორც მუნიციპალიტეტის მერის, საქმიანობის ძირითადი მიმართულების სლოგანია: „წინ ერთად, წარმატებისთვის“, რაც გუნდურ მუშაობას ეფუძნება. საანგარიშო პერიოდში მკვეთრად გამოჩნდა აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების სწორედ ამ პრინციპით მართვის ეფექტურობა.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შორის ჯანსაღი თანამშრომლობის დამკვიდრებული პრაქტიკა მაქსიმალურად არის მიმართული მუნიციპალიტეტის განვითარებასა და მოსახლეობის უკეთესი მომავლის შექმნაზე.

***

მუნიციპალიტეტის მერის საანგარიშო მოხსენება, მერმა მანუჩარ რობაქიძემ თვალსაჩინოების ფორმითაც წარმოადგინა, რაც მისმა დახვეწილმა და ეფექტურმა საუბარმა უფრო შთამბეჭდავი გახადა.

ეს ფაქტი სწორედ ასე შეაფასეს კიდეც საკრებულოს წევრებმა და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ. მათ შორის ალისუბნის საჯარო სკოლის მაღალკლასელებმა, რომლებმაც სხვებთან ერთად ტაშით გამოხატეს მერის ამ საინტერესო გამოსვლის მოწონება.

პაციენტთა სიყვარულით გარემოსილი...

ამ საახალწლოდ მასზე თბილი სიტყვის თქმა რამდენიმე გარემოებამ განაპირობა: გიორგი ბრეგაძეს, ექიმ კარდიოლოგს, „თერჯოლამედის“ ხელმძღვანელობა დადებითად ახასიათებს, ჰყავს მადლიერი პაციენტები, არის მაღალკვალიფიციური ექიმი, თავმდაბალია და გულისხმიერი, რაც ალბათ ძალზე იშვიათია ექიმების პრაქტიკაში, აქვს პაციენტთა სია, რომლებიც მუდმივ ყურადღებას საჭიროებენ, მათ თვითონ ეხმიანება, ჯანმრთელობის ამბავს ეკითხება. „მე გიორგი ვარ, თქვენი ექიმი“, „სისხლში ქოლესტერინი ნორმაშია“, „არ შეწყვიტოთ წამლების მიღება“, „არ შეგეშინდეს, შაქარი შემცირებულია“, არ ელოდება როდის მიუტანს პაციენტი ლაბორატორიული კვლევის შედეგს და თვითონ გამოაქვს მონაცემები, ფრთხილობს წამლის შერჩევისას, ეცნობა კიდევ და კიდევ ფარმაკოლოგიურ თვისებებს, გვერდით მოვლენებს, შესაძლებლობის ფარგლებში იკვლევს ავადმყოფს და ფიქრის და ანალიზის მერე წერს წამალს... თუ არ ხერხდება ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინება წამლების სიძვირის გამო, წუხს...

გავლენა პროფესიაზე

ოჯახში არსებულმა ატმოსფერომ გარკვეული გავლენა მოახდინა აერჩია პროფესია—დედა, მამა, ძმა, უახლოესი ნათესავების უმეტესობა ექიმები არიან, დაამთავრა ქვ. სიმონეთის №2 საჯარო სკოლა, შემ-

დეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი და სწავლა გააგრძელა რეზიდენტურაში კარდიოლოგიურ კლინიკა „გულში“.

2017 წლის ნოემბრიდან, კლინიკის გახსნიდან მალე, „იმერმედში“ დაიწყო მუშაობა ექიმ კარდიოლოგად. კითხვაზე—როგორ მიაღწია აღიარებას, რა წარმატებები აქვს და როგორ აღწევს უყვარდეს პაციენტებს—მრავლობითში პასუხობს. მაგ. იტყვის „კლინიკაში სამედიცინო დახმარებას ვუწევდით, როგორც ამბოლატორიულ, ისე სტაციონალურ ავადმყოფებს, კარდიოლოგიის მიმართულება აღიჭურვა თანამედროვე დიაგნოსტიკური აპარატურით, 2018 წელს კლინიკის ადმინისტრაციის დიდი მონდომებით კარდიოლოგიის მიმართულებას დაემატა ინტერვენციული კარდიოლოგიის მიმართულება ბატონ შალვა რცხილაძის ხელმძღვანელობით; ჩვენთან სხვადასხვა დროს წარმატებით მუშაობდნენ საქართველოში ცნობილი ინტერვენციონისტები (ინგა ბოჭორიშვილი, გურამ რცხილაძე, ოთარ ყვავაძე, ვაჟა ჭელიძე, გიორგი ჯიშკარიანი, გიორგი კაპანაძე); „გუნდს შემოუერთდა წამყვანი ინტერვენციონისტი კარდიოლოგი ბეგლარ დუნდუა“.

ამ მიმართულების ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო და საშუალება მისცა გიორგის და სხვებს გაეწიათ სამედიცინო დახმარება მწვავე კორონარული სინდრომის მქონე პაციენტებისათვის, კარდიოინტენსიური განყოფილების გახსნამ კი (ექიმები: ნინო ცხადაძე, ვალერი ბრეგაძე, ჯუნი ფერაძე, დავით წულაია) მისცათ შესაძლებლობა სხვადასხვა სირთულის პაციენტებისათვის გაეწიათ მაღალი ხარისხის სამედიცინო დახმარება, მალევე გაიხსნა ინტენსიური კარდიოლოგიის ინფექციური ბლოკ პალატა, რომელიც დაეხმარათ თანმხლები ინფექციური პათოლოგიის მქონე პაციენტების მართვაში.

გიორგი იხსენებს კოვიდ 19-ის რთულ პერიოდს „მედპერსონალს გვიწევდა იმ დროისათვის ჯერ კიდევ უცნობი ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლა, ვიღებდით სხვადასხვა სირთულის პაციენტებს საქართველოს კუთხეებიდან, ჩვენც, მიუხედავად წესების სრული დაცვისა, ბევრჯერ გადავიტანეთ ვირუსი, პაციენტებს პალატებს ვუთმობდით, ვაგრძელებდით პაციენტებზე ზრუნვას“.

კლინიკაში ხშირი იყო კოვიდ ინფარქტის შემთხვევები „ადგილზე ვატარებდით გადაუდებლად საჭირო კორონოგრაფიას და სტენდირებას, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ექთნებისა და სანიტრების თავდადება, მათი შრომა ბევრი ადამიანის გამოჯანმრთელების საწინდარი გახდა“—ამბობს გიორგი და არ ელევა ჩამონათვალი: ასმათ კობახიძე (უფროსი ექთანი), ექთნები: თეა ასლანიშვილი, ლალი აბჟანდაძე, სოფო მაჩიტიძე, თამუნა გვენეტაძე, სანიტრები: აზა ყაზაიშვილი, დომნა გიორგაძე, ლალი სოფრომაძე, მანანა კახიძე... ექიმები ლია ხიხაძე, ვალერი ბრეგაძე და გამოჰყო კლინიკის ინფექციური განყოფილების გამგის მამუკა აბულაძის თავდადება კოვიდის მართვაში—სიცოცხლის რისკის ფასად შეაფასა მისი საქმიანობა. კითხვას—როგორია თქვენი როლი „იმერმედის“ პაციენტთა მკურნალობაში, ძლივს თქვა, რომ მათთან ერთად მეცო. ჩვენ კი ვიტყვით, რომ გიორგი ბრეგაძე პირველ რიგში თვითონაა თავდადებული, ამიტომ ჰყავს მადლიერი პაციენტები, ამიტომაა სიყვარულით გარემოსილი და ამიტომ უყვართ.

„მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მსურს ახალი წელი მივულოცო გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციას, გმადლობთ, რომ დაინტერესდით ჩემით, ახალ წელს ვულოცავ „იმერმედის“ ყველა თანამშრომელს, ჩვენს მუნიციპალიტეტს, საქართველოს, გისურვებთ ჯანმრთელობას“—ისურვა გიორგიმ.

ჩვენც ვულოცავთ გიორგის ახალ წელს, საჩუქრად მივართმევთ გულის სითბოს, კეთილ სიტყვას, სიყვარულს, წრფელ ღიმილს, ბედნიერი და მშვიდობიანი ყოფილიყოს მისთვის ეს და სხვა წლები, ვულოცავთ არა მარტო ახალ წელს, არამედ დაბადების დღეს—იგი პირველ იანვარს არის დაბადებული...

ჟუჟუნა ცხადაძე

საჭირო პროფესიის ადამიანები

ოლეგ ჭანკვეტაძე

ქართული კინოს შედევრი „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ ვის არ ექნება ნაყურები. ერთ ეპიზოდში ოსტატი გიჟუა (მსახიობი აკაკი ხორავა) და ხარაზის უსტაბაში (მსახიობი ვასო გოძიაშვილი) ხელოსნად აკურთხებენ შეგირდს, გოგიას (მსახიობი გიორგი შენგელია) და მოძღვრავენ თან,—ამიერიდან იშრომე დამოუკიდებლად და „შრომითა შენითა მოიპოვე პური შენიო“. დაახლოებით ასე დამოძღვრა ღვანკითელმა ხარაზმა ალექსანდრე რობაქიძემ (ნათელში იყოს მისი სული) ახალთერჯოლელი შეგირდი ოლეგ ჭანკვეტაძე და გზა დაულოცა ცხოვრების ასპარეზზე გამოსასვლელად. მას შემდეგ 38 გრძელი წელი გავიდა. ვინ იცის, ამ პერიოდში რამდენმა კლიენტმა მიაკითხა ამ ოქროსხელება კაცს დახმარებისათვის, რამდენ ქალსა თუ კაცს შეუკეთა „წკაპუნები“, „წითელი ბასანოშკები“, „პოლსაპოშკები“ თუ ბათინკები... და ვისაც კი შეუკეთა ფეხსაცმელი, ყველასაგან მადლიერება და პატივისცემა დაიმსახურა.

სკოლა რომ დაამთავრა, ტექნიკუმში ან უმაღლესში სურდა ჩაბარება, მაგრამ ერთი შვილი ჰყავდათ მის მშობლებს და „მოსაცილებლად“ ვერ იმეტებდნენ. რამდენი ვიცით, რომ წასულა, უსწავლია და ქალაქის მტვერი რომ გადაუყლაპავს, სოფლისაკენ პირი აღარ უქნია. მერე კი მომხდარა ის, რაც ხშირად ხდებოდა და ხდება ახლაც,—გაუკაცრიელებული, გაპარტახებული ეზო-გარემო სოფლად და გაუქმებული კომლი. ამიტომ ურჩიეს რაიმე უბრალო, მაგრამ ხალხისათვის საჭირო პროფესია შეესწავლა, თუნდაც ხარაზობა (საკმაოდ სარფიანი ხელობა იყო მაშინ), სოფლად მეურნეობაც აეწყო და თავსაც რიგიანად გაიტანდა.

სწორედ ასე მოვიქეცი, გვითხრა საუბარში ოლეგიმ, დავუჯერე მშობლებს, დავეუფლე ხარაზის პროფესიას, დღემდე ამით გამაქვს თავი და ვინახავ ოჯახს. თუ სოფელში ხარ, საკარმიდამო გაქვს, მეურნეობაც უნდა ჰქონდეს აწყობილი, ისე არ გამოვა. მარტო ხელობა რა ბედენაა თუ სასოფლო-სამეურნეო საქმით არაა გაჯერებული, ყურძენსაც ვიწევ და სიმინდსაც, ფურიც მყავს და კრუხ-წიწილაც. არ შეიძლება, უბრალოდ გაუმართლებელია, სოფლელი კაცი ბაზარში დადიოდე ყველაფრის საყიდლად. რამდენი ვიცით, რომ ნოყიერი მიწის მესაკუთრე ბაზარში ყიდულობდეს მწვანილს.

ოჯახის წევრები ყველანი მიდგანან მხარში: მეუღლე თინა, შვილი ვახტანგი მეუღლითურთ... ჯერჯერობით მასაც ერთი ვაჟი ჰყავს და სულ ვეუბნები ერთზე არ გაჩერდე-მეთქი. საქართველოში ქართველები უნდა მოშენდნენ, არ შეიძლება ყველას უცხოეთისკენ ეჭიროს თვალი, თუ რიგიანად გაირჯები, მუხლჩაუხრელ შრომას სათაკილოდ არ გაიხდი, აქაც შეიძლება კარგად გაიტანო თავი და ოჯახი არჩინო.

ჩემი პროფესიისას უბრალო პროფესიის ადამიანებს ეძახიან, არ ვიცი რატომ, ჩემის აზრით, პროფესია ყველა ბრალიანია, საპატიო თუ შენი საქმის ნამდვილი ოსტატი ხარ და მომხმარებელი კმაყოფილი გყავს. 4 ათეული წელია ვიღვწვი, არ მახსოვს კლიენტი უკმაყოფილო გამეშვას, რასაც შევაკეთებ, წყალი არ გაუვა. შემკვეთები საკმაოდ მყავს „მიუხედავად იმისა, რომ მეორადებით გადაჭედილია ბაზრები, კაცს მაინც თავისი ნაყიდი ურჩევნია შეაკეთოს ვიდრე ის, რომ სხვის ფეხზე ნაცვამი ჩაიცვას. ეს სხვა თემაა, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, გამომშვები ფაბრიკები სცოდავენ თუ ეშმაკობენ რაღაცას. აბა როგორ შეიძლება წყვილი ფეხსაცმელიდან ერთი ვადაზე ადრე ხდებოდეს შესაკეთებელი, მეორე კი ისევ ახალივით იყოს, ორივე ერთნაირად არ გადის ექსპლოატაციას?

მარტო ფეხსაცმელები არაა ასე. აი, უბრალო წყლის ონკანი ავიღოთ. იყიდი, ერთ-ორ კვირას იმუშავებს და გამოსაცვლელია უკვე. აღარაფერს ვამბობ სასოფლო კულტურებისათვის საჭირო პრეპარატებზე.

სადღაა ძველებური ხარისხი, ფალსიფიკაციას სახელმწიფო დონეზე უნდა გამოეცხადოს ბრძოლა ყველაფერში“—დასძენს ოლეგი.

დავინტერესდით ახალ წელს როგორ ხვდება ჭანკვეტაძეების შეხმატკბილებული ოჯახი, ძველებურად, მამაპაპისეულადო, გვეუბნება თვალებგაბრწყინებული. ამ ხნის კაცი ვარ და ისევ ბავშვივით მიხარია ახალი წლის მოსვლაო. მთელი ოჯახი მოვიყრით თავს საახალწლო სუფრასთან, თოფსაც დავაქუხებთ, მეფეხურიც გვეყოლება. დავილოცებით ჭურის ღვინით და შევთხოვთ უფალს მშვიდობიანი ახალი წელი დაგვიყენოს, მამული გვიცოცხლოს და გვიდღეგრძელოს. ისე გაძლიერებულიყოს, სამშობლოდან გადახვეწილებს ისევ აქეთ ექნათ პირი, სახელმწიფომ, საზოგადოებამ უნდა იზრუნოს, რომ ადამიანს უნდოდეს არა მარტო კარგად იცხოვროს, არამედ გააცნობიეროს, რომ მისი კარგად ცხოვრება არის მრავალშვილიანობა, სიხარული შვილებსა და ოჯახთან ერთად...

ღმერთმა ყველას ბედნიერი ახალი წელი გაგითენოთ.

ესაუბრა ი. ერაძე

ოჯახი მისაბაძი ცხოვრების წესით

ოთხი შვილი აღიზარდა საზანოში მცხოვრებ ალექსანდრე ჯაფარიძის და ნელი აბაშიძის ოჯახში: დარეჯანი, ნესტანი, ამირანი, კოტე, ოთხივე უმაღლესი განათლებით, ოთხივეს ცხოვრება ზნეობრივი და ღირსეული იყო, ერთგულებით და პატიოსნებით გამორჩეული. ტყუპისცალი აკლია დარეჯანს, მოგვიანებით დედამ უამბო ჩვილის გარდაცვალების დიდ ტკივილზე და დარეჯანი, როგორც ექიმი, განსაკუთრებულად ინტერესდებოდა ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობით, მაშინაც კი, როცა ამის ვალდებულება არ ჰქონდა.

დარეჯანის მამა ალექსანდრე რესპუბლიკაში სკოლის ცნობილი დირექტორი იყო. საზანოს სკოლის მუშაობა რამდენჯერმე განზოგადდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე, იგი იყო ბუნების დიდი ქომაგი, ათეული წლების მანძილზე აგროვებდა სოფლის და სკოლის ისტორიას, დღესაც აქტიურად გამოიყენება მისი ნარკვევი ამ თემაზე, მეც ბევრჯერ მისარგებლია. სკოლაში მამის გამო შვილებს შეღავათი თუ გქონდათ—ვკითხე დარეჯანს და პასუხი არ გამკვირვებია—მამა იყო თანაბრად მკაცრი და მომთხოვნი, საკუთარი თავისა და სხვებისადმი, ვინ გაბედავდა ზედმეტი ნიშნის დაწერას, სულ პირიქით იყო, თვითონ გვამოწმებდა-ო და დაამთავრა დარეჯანმა სკოლა ოქროს მედალზე, წარმატებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი—ექიმ თერაპევტის სპეციალობით. სტუდენტობა—უბედნიერესი წლები იყო მის ცხოვრებაში. ყველა პირობა ჰქონდა თბილისში დარჩენილიყო, მაგრამ თერჯოლას ვერ შეელია. მუშაობა დაიწყო სოფლის ამბულატორიაში, იყო რაიპოლიკლინიკის, თერაპიული განყოფილების გამგე. „ინტერნატურის“ სრული კურსი—ასე უწოდა დარეჯანმა ღვაწლმოსილი ექიმების პეტრე წერეთლისა და ვარლამ მაკარიძის ხელმძღვანელობის პერიოდში მუშაობას, იხსენებს დარეჯან გაბუნიას, ახლა მედიცინის დოქტორს, პროფესორს. უყვარდათ და პატივს სცემდნენ რაიონში ორ დარეჯანს, განუყრელ მეგობრებს, დღემდე. ერთხელ ჯაფარიძე და გაბუნია რაიკომის გაფართოებულ სხდომაზე იყვნენ მოწვეულები, გაბუნია ახალი ჩამოსული იყო, თათბირსაც პირველად ესწრებოდა, სათვალეს ატარებდა, რაც უფრო ლამაზს და მიმზიდველს ხდიდა მას. აღრიცხვა მიმდინარეობდა, ნუგზარ კაკოიშვილმა, რომელიც თვითონაც სათვალეს ატარებდა, გაბუნიას ჰკითხა—თქვენ რა ნომერს ატარებთო, ყველამ გაბუნიას შეხედა, უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ბნელია კაკოიშვილი და ბრმა, არ გეწყინოს-თქვა, დავამშვიდე დარეჯანი, ისინი იმავე დღეს დაძმაკაცდნენ, მე კი კაკოიშვილის შემორიგება მწვადი დამიჯდა.

„ძალიან რთული და არეული წლები იყო. 1993 წელს, აფხაზეთის ომის დროს, თბილისიდან აფხაზეთისაკენ დაიძრა ქალებით დატვირთული მატარებელი რეჟისორ ქეთი დოლიძის ხელმძღვანელობით, თერჯოლლებიც უნდა შეერთებოდნენ ამ მოძრაობას, მაგრამ იმ დღეს ეს არ მოხერხდა“—გაიხსენა დარეჯანმა, მაგრამ რატომღაც არ გაიხსენა მისი აქტივობა და თავგანწირვა, არ გაიხსენა და მე გავიხსენებ: გაფართოებული თათბირი ჩატარდა, რაიკომის სხდომათა დარბაზმა მოწვეულებიც ვერ დაიტია, ფოიეში სკამები დავდგით, შეკრების მიზანი იყო ერთი და ნათელი—როგორ დაჭირდებოდა ძმათა ომს რაიონის ახალგაზრდები და სამედიცინო პერსონალი. დარეჯანი მაშინ რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო, მან სიტყვა წარმოთქვა, გააკეთა განცხადება, რომ წავიდოდა იქ, სადაც საჭიროდ მიიჩნევდნენ. ამის თქმა არ იყო ადვილი, ჰარი-ჰარალოზე მაშინ ვერაფერს იტყოდი და შედგა აფხაზეთში წამსვლელთა სია...

დარეჯან ჯაფარიძის კვალიფიკაცია, გულისხმიერება, ექიმის ფიცის ერთგულება, შრომისმოყვარეობა არ დარჩენილა უყურადღებოდ. 1987-1995 წლებში იყო რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი. ჯანდაცვის სისტემა მაშინ მოიცავდა რაიონის საავადმყოფოს სტაციონარს 300 საწოლზე, თერაპიული, ქირურგიული, ბავშვთა განყოფილებები, სამშობიარო სახლი, რაიპოლიკლინიკა, სანეპიდსადგური, დეზგანყოფილება, 18 ამბულატორია. რთული და ძნელი იყო მართვა, მაგრამ დარეჯანი იყო არა მარტო მცოდნე ექიმი, არამედ იყო კარგი ორგანიზატორი. მას გვერდით ედგნენ დაუზარელი, ენერგიული, მაღალკვალიფიციური ექიმები, დიდ დახმარებას უწევდათ საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების ბრიგადები, სააფთიაქო სამსახური... მთავარ ექიმად მუშაობის პერიოდში იგი ორგანიზებას უწევდა ექიმთა სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციას, ჰქონდათ კამათი, აზრთა სხვადასხვაობა, დაპირისპირებაც, მაგრამ საექიმო ეთიკის ფარგლებში.

ექიმად მუშაობის ორმოცდაათი წლის მანძილზე ქალბატონ დარეჯანს ჰქონდა უამრავი უძილო ღამე, სევდა და წუხილი დაუფლებია, როცა უძლური იყო და ვერ სძლევდა განუკურნებელ სენს, თუ ქუთაისში, თბილისში მკურნალობაც უშედეგო აღმოჩნდებოდა. ჰქონდა გამორჩეული დღეები, სიხარული გადარჩენილი სიცოცხლის გამო.

კეთილშობილების მაგალითი

ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. სამსახურიც გვაკავშირებდა და მეგობრობაც. კარგი დამოკიდებულება მქონდა გურამ მდინარაძესთან, დარეჯანის მომავალ მეუღლესთან. ცოტა ხელსაც ვუწყობდი მათ სიყვარულს, თათბირია, დარეჯანიც იქნება-თქვა ვეტყოდი გურამს და სიხარული ეუფლებოდა. რაიონი კარგად იცნობდა დარეჯანის დედმამიშვილებს, განსაკუთრებით ამირანს, იგი პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ მუშაობდა. მსგავსი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი, იშვიათობა იყო. არ ეტყობოდა, მაგრამ სხვისი ტკივილი გულთან მიჰქონდა. მის კარგად გაცნობას დრო სჭირდებოდა. დარეჯანი მაინც გამორჩეული იყო. უნდა გავიხსენო: ხაზის ტელეფონები გვქონდა, ხშირად ვეხმიანებოდით ერთმანეთს. ერთ დღეს ძალიან ადრე დამირეკა, ჯანმრთელობა მკითხა, მერე ყოველდღე მირეკავდა. ჩვენი ურთიერთობის გამო არ იყო გასაკვირი, მაგრამ ეჭვი გამიჩნდა. ერთმა საერთო ნაცნობმა მოჰფინა საქმეს ნათელი—სიზმარი უნახავს, დიდ დარბაზში იყო დასვენებული, თავსა და ბოლოში სანთლები ენთო, უამრავი ყვავილი ეწყო ირგვლივ, ნათელი ადგაო. აუგიათ წესი და ეგაა-თქვა შევუთვალე. დღემდე ვფიქრობ, რამდენად კეთილშობილი უნდა იყო, რამდენად უნდა გიყვარდეს მეგობარი, რომ თვეების განმავლობაში მასზე ნანახ სიზმარს ჯავრობდე. იქნებ გათხოვებაზე ახდეს-თქვა დავამშვიდე და გვქონდა სიცილი.

* * *

დარეჯანი არის პირველი კატეგორიის ექიმი, აქვს სახელმწიფო სერთიფიკატი „შინაგან“ მედიცინაში, დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით.

ბოლო წლებში შპს „ევექსში“ მუშაობდა ექიმად. კარგი იყო აქ მუშაობის წლები პრინციპულ, საქმის მცოდნე ნინო მახათაძის ხელმძღვანელობით და ნიჭიერ პროფესიონალ ექიმებთან ერთად, ავადმყოფის სარეცელთან აქაც გვითევია ღამეები—ამბობს და სითბო ეღვრება გულში.

სიყვარული და ქორწინება

დარეჯან ჯაფარიძის და გურამ მდინარაძის სიყვარული ქორწინებით დამთავრდა. გურამს, პატიოსან, შრომისმოყვარე, კეთილშობილ, ცოტა ემოციურ ადამიანს არც განათლება აკლდა, არც თანამდებობები. სხვადასხვა წლებში იყო რაიონის მთავარი აგრონომი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, გარეგნობაც ხელს უწყობდა, ბევრი ლამაზი გოგო მუშაობდა რაიკომსა და აღმასკომში, სხვადასხვა სამსახურებში, მაგრამ მან დარეჯანი აირჩია, არჩევანი სწორი გააკეთა, მაგრამ გული რომ დაწყვიტა ბევრს... გურამისა და დარეჯანის ქორწინების ხანგრძლივი წლები არის იმის მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს ოჯახი. ურთიერთშორის სიყვარულით და ერთგულებით, ნდობითა და პატივისცემით, საკუთარი თავის, შვილების, ერისა და ღვთის წინაშე მოვალეობებით სავსე, მეუღლეებს შორის არასოდეს დარღვეულა წონასწორობა, რადგან მათ სხვა გარემოებებიც უწყობდათ ხელს—ხასიათი, კულტურა, განათლება, ასაკიც კი. დარეჯანი და გურამი ეხმარებოდნენ ერთმანეთს ნაკლოვანებათა დაძლევაში, ყოველთვის ფიქრობდნენ მოეპოვებინათ სიმშვიდე, მშვიდობა ოჯახში, სამსახურში, მეზობლებში, მეგობრებში.

გამორჩეული წელი

გამორჩეული იყო დარეჯანისთვის 2023 წლის 22 ოქტომბერი—მას მიენიჭა თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა. მადლობელია ქალბატონი დარეჯანი მუნიციპალიტეტის მერის მანუჩარ რობაქიძის, სხვა ხელმძღვანელი მუშაკების და ოჯახის მეგობრის სოსო ჩაფიჩაძის. მადლობას ეუბნება კლინიკა „ევექსის“ ხელმძღვანელს და ექიმებს, ვინც წარადგინა ამ მაღალ ჯილდოზე, საპატიო მოქალაქეობას ულოცავს ბატონებს: გივი ლობჟანიძეს, სოსო გიორგაძეს, გარდაცვლილ მერს—ლაშა გოგიაშვილს კი ზეცაში...

დარეჯან ჯაფარიძემ მადლობა არაერთხელ გაიმეორა, თერჯოლის მოსახლეობის მიმართაც. პირიქით ქალბატონო დარეჯან, მადლობა თქვენ.

არის ასეთი ნათქვამი—„ადამიანის ცხოვრება ეს ფიჭებია, რომელსაც ყოველღიურად, ფუტკრის მსგავსად თაფლით უნდა ვავსებდეთ, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ისარგებლოს“—დარეჯან ჯაფარიძე სჭირდებოდათ ადამიანებს, იგი ავსებდა და ავსებს ამ ფიჭებს დღესაც...

ასეთი სულიერი ღირებულების მატარებელ ოჯახში, ღვთისა და ერის წინაშე ვალმოხდილი უახლოესი წინაპრების მაგალითზე გაიზარდა დარეჯან ჯაფარიძის და გურამ მდინარაძის ორი შვილი, ასე იზრდება ორი შვილიშვილი...

ექიმის ფიცი

ჰიპოკრატეს ექიმის ფიცი, ბიბლიაზე დაფიცების ტოლფასი იყო მისთვის. ერთხელ წარმოთქმული ეს ფიცი არასდროს გაუტეხია, კაბინეტებსა და ფოიეებშიც კი გამოაკრა, პაციენტებმაც და შემომსვლელებმაც იცოდეს ჩვენი ვალდებულებაო. კითხვას—რამდენი ავადმყოფის ჯანმრთელობა შეუნარჩუნებია და რამდენის სიცოცხლე გადაურჩენია—არ პასუხობს, იგი არ ითვლის სიკეთეებს.

დარეჯან ჯაფარიძე სოფლის ექიმიც იყო. დიდი ხათრი და მორიდება კი ჰქონდათ ღვანკითელებს, მაგრამ მაინც, დარსა და ავდარში, დღისით თუ ღამით მიჰყავდათ ავადმყოფთან, ხან ფეხით, ხან მანქანით და სიამოვნებას გვრიდა ეს „მოგზაურობა“, იმის შეგრძნება, რომ დასახმარებლად მიდიოდა.

„სხვამან სხვისი“

დარეჯანს ყოველთვის უყვარდა სხვათა აზრის, სხვისგან „სასარგებლო საუბრის“ მოსმენა, ავადმყოფობისას ექიმის „მოხმობა“ მით უფრო ახლა, როცა მასაც და გურამსაც ძველებური შემართება აღარ აქვთ, დარეჯანის „მაჯის შემტყვებლები“ „თერჯოლამედის“ მთავარი ექიმი, ოჯახის მეგობარი სოფო ბუსკივაძე და „თერჯოლამედის“ სხვა პროფილის ექიმები არიან. დარეჯანი მადლობელია მათი, მადლობელია იღბლის... ჩვენც მადლობლები ვართ, რომ არსებობს დარეჯან ჯაფარიძე...

ჟუჟუნა ცხადაძე

„კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს“...

ადამიანის ცხოვრებაში ყოველი დღე რაღაც ახლით იწყება, ახალ საფიქრალს გვიჩენს, „წუთშესვენების“ უფლებას არ გვაძლევს. „არ მოდუნდე“, „იაზროვნე“—თითქოს გვკარნახობს უხილავი ძალა...

მითუმეტეს ვრცელია წლის საპროგრამო შემოთავაზებებიც.

უნდა ჩაუჯდე, ჩაიფიქრო—რა, როგორ, რანაირად...

...და, იწყება ათვლა: თუ შინა—კერძო და თუ გარე—საზოგადოებრივი...

ასევე, სხვა, მრავალწახნაგოვანი, დიდი და მცირე მისახედ-მოსახედი.

ერთი სიტყვით, მთავარი მეკვლის—თოვლის ბაბუის მობრძანებიდან უკვე იწყება ახალი 2024 წლის შემოთავაზებათა ვრცელი ჩამონათვალი, რომელიც გვავალდებულებს გავითვისოთ, ავწონ-დავწონოთ, რომ საზოგადოებაში წარმოვჩნდეთ—ვინა ვართ, რა ფუნქცია გვაკისრია... დიდი შოთა რუსთაველიც ხომ ამასვე მოგვიწოდებს: „კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს“...

ამ ყველაფრისათვის კი, ბევრ სხვა რამესთან ერთად, შრომისმოყვარეობა და რწმენაა საჭირო...



რედაქტორისაგან: სწორედ ასე—ახალზე, საქმეზე და სიკეთის ქმნით იწყება ყოველი დღე ჩვენი უფროსი მეგობრის, რედაქციის უხუცესი წევრის, შრომისმოყვარეობით გამორჩეული და მომავლის რწმენით უხვად გაჯერებული კაცის, ნუგზარ გამყრელიძის ცხოვრებაში.

ბატონი ნუგზარი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა გაზეთ „თერჯოლის“ წინამორბედს გაზეთ „წინსვლას“ და დღემდე ღირსეულად აგრძელებს ჟურნალისტურ მოღვაწეობას. მკითხველს ხიბლავდა მისი კორესპონდენციებით, სახელდახელო ლექსებით, სალაღობო-იუმორისტული ნახატებით თუ კროსვორდებით...

წლების სიუხვის მიუხედავად, კვლავ მარჯვედ უჭრის კალამი და გონება...

მაგრამ, როგორც თავად ამბობს და წერს „ყველაფერს აქვს თავის დასასრული“ და „უყოყმანოდ ასრულებს მეუღლის, შვილებისა და შვილიშვილების თხოვნას“...

ჩვენ კი, რედაქციელები, ვერ ველევით, კვლავ ჩვენთან თანამშრომლობას ვთავაზობთ...

ახლა, ისე, როგორც სხვა რიგით დღეებში, მისთვის ჩვეული აკურატულობით წარმოგვიდგინა რედაქციაში საახალწლო მასალები, სადაც სხვა წერილებთან ერთად ის თხოვნაც იყო გაზეთ „თერჯოლაში“ მოღვაწეობის დასასრულს რომ ეხებოდა.

გთავაზობთ ჟურნალისტის ბოლოთქმას:

„ჩემო საყვარელო გაზეთო, კოლეგებო, პატივცემულო მკითხველებო: გილოცავთ ახალ 2024 წელს.

მადლობას გიხდით, რომ მრავალი წლის განმავლობაში ერთად ვიყავით, რომ სიყვარულით ვაკეთებდით ჩვენს საკეთებელს—თერჯოლის საქმეს!

88 წელმა ვერ დამღალა, ისევ კალმისა და ქაღალდისაკენ გამირბის მზერა...

მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი დასასრული. უნდა დავმორჩილდეთ ჟამთა სრბოლას...

მიჭირს იმის დაჯერება, რომ უნდა დავტოვო ჩემი საყვარელი რედაქცია, სადაც ჩემს კოლეგა ჟურნალისტებთან ერთად ათეულობით წლები გავატარე შრომაში, ძიებაში, ფიქრებში...

ეს ჩემი ცხოვრება იყო.

მადლობას ვუხდი უფალს ამისთვის.

* * *

2023 წლის 29 დეკემბერი, პირველი დღე, როცა აღარსად მეჩქარება...

დღე, როცა უყოყმანოდ ვასრულებ მეუღლის, შვილებისა და შვილიშვილების თხოვნას...

წავალ... აწ, უკვე ოჯახს დავუთმობ მეტ დროს“...

სიყვარულით და
პატივისცემით
ნუგზარ გამყრელიძე

სტრიქონები ეძღვნება 2024 წლის მობრძანებას და ჩვენი სამშობლოსათვის გაცხადებულ მის კეთილ ნებას!

ახალო წელო, გმადლობთ, რომ იმედიანი ნაბიჯებით მოხვედი, რომ თოვლის ბაბუა კვლავ შემოგიძღვა თავის კეთილი სურვილებითა და საახალწლო საჩუქრებით.

შენს ლოდინში ვიყავით მთელი წელიწადი
ანუ, მას შემდეგ, რაც ჩვენგან წადი.
ახალო წელო! შენი გამარჯვებისა იყოს
და შენი მობრძანებისა.
უფლისგან დალოცვისა,
უფლისა ნებისა!
მადლობას გიხდით
—იმედით დაგიხვდით!
ძალას გვგვრის შენი ყოველი შემოძახილი!
—მოკეთისადმი ნუგეშისცემა,
მტრისათვის—მახვილი.
ახალო წელო, გმადლობთ, რომ
სიხარული მოგვგვარე,
რომ დაგვლოცე და დაგვილოცე
კეთილ-მოყვარე!

გპირდებით: ვიღვაწებთ სამშობლოს იმედად,
როგორც ვიღწოდით—იმაზე მეტად!
სამშობლოსათვის კვლავ გავირჯებით,
წინ, სულ წინ ვივლით მხნე ნაბიჯებით—
მარცვალს დავთესავთ, ხეს დავრგავთ
და ვახარებთ,
წინსვლას არ შევანელებთ, არ დავახანებთ.
ახალო წელო, გვიგულე შენს გვერდით,
ბურჯად-საყრდენად.
ღირს ჩვენი მამული გარჯად და
ოფლის საღვრელად.

სიყვარულით,
ნუგზარ გამყრელიძე

საახალწლო სურვილები სამშობლოსადმი

გვიხარია, რომ ჩვენი სამშობლო მზის მხარეა და ჩვენი ხალხის სალოცავი.

ვლოცულობთ მოყვასის სიკეთისათვის.

ვიღწით, რომ ჩვენი სამშობლო გამთლიანდეს.

რომ კვლავ ომახიანად ისმოდეს „ოდოია“ და „ოროველა“, „ჩაკრულო“, „მრავალჟამიერი“...

ავი და ცუდი აცილოს ზენაარმა ჩვენს მამულს...

ორგულსა და ავადმზრახველს რა დალევს, მაგრამ ქედი არ უნდა მოვუხაროთ, უნდა ვაგრძნობინოთ ვისი გორისანი ვართ!

მიმტევებლობა და შენდობა ოდითგან მოგვდგამს, მაგრამ ფხიზელი თვალი არ უნდა მივლულოთ...

ქართველებს სამშობლო მუდამ გვეწერა გულის ფიცარზე. კი, გვქონია მძიმე წლები, მაგრამ დაცემული არავის უნახივართ, სამშობლოს ვედექით ღირსეულად. მომავალშიც ასე იქნება, არ დავუშვებთ, რომ ჩვენი სააკვნე ხე სხვამ მოჭრას, ჩვენი მოსახნავი ახო სხვამ მოხნას...

ახალო წელო, ფეხბედნიერი ყოფილიყავ.

საქართველო ჩვენი სალოცავი ხატია.

საქართველო ჩვენს გულზე ხატია.

იმედი და მხნეობა, სიძნელეთა ატანა და ერთმანეთის გატანა იყო მუდამ ჩვენი გადამრჩენი. ეს უნდა გვახსოვდეს მუდამ.

ახალო წელო, ახალი იმედებით გხვდებით, გმადლობთ, რომ ღიმილის და მომავლის რწმენა მოიყოლიე თან, რომ ბედნიერებას დაგვიმკვიდრებ.

ჩვენ წილად მეტი შემართებით და რუდუნებით ვიღვაწებთ, რათა მამული ჩვენი უფრო ლამაზი და ძლიერი გავხადოთ...

რათა მეტმა სიყვარულმა დაივანოს ღმერთის მიერ ჩვენთვის ნაკურთხ მიწაზე...

კროსვორდი თოვლის ბაბუა თერჯოლაში



1. ჩვენი ქალაქი. 2. ატმოსფერული ნალექი. 3. საახალწლო საზეიმო... 4. პირი, რომელიც ახალი წლის დილით პირველი შედის ვისიმე ოჯახში და ულოცავს ახალი წლის დადგომას. 5. ორთვლიანი ნაქსოვი ჩანთა მხარზე გადასაკიდებელი, რომელშიც თოვლის ბაბუას საჩუქრებია მოთავსებული. 6. ლერწმისაგან გაკეთებული ხალხური საკრავი. 7. ქრისტეს დაბადების რელიგიური დღესასწაული. 8. ხის სარწევი საწოლი. 9. საღმრთო წიგნი. 10. ღვინო, რომლითაც ხვდებიან ახალ წელს. 11. ქართული ხალხური სიმღერა. 12. გემრიელი პროდუქტი, რომელსაც ფუტკარი იძლევა. 13. სუფრაზე ვისიმე დღეგრძელობისთვის წარმოთქმული სიტყვა და შესმული სასმელი. 14. დასვენების დღე. 15. მოდგმა ანუ... 16. ვაზის ჯიში. 17. „სადაც უნდა ვიარო ღვინოს დამაძალებენ“—სტრიქონის ავტორი. 18. წიწვოვანი მცენარე, ანუ... 19. ვერ ნახავ ადამიანს ეს ნუგბარი რომ არ უყვარდეს. 20. ჯოხი ბურბუშელასებრ ანათალებით, მორთული ტკბილითა და ხილით.

წინაპართა ნაკვალევზე—ღვინო „სერაპიონი“ და „სერაფიმა“

2023 წლის 22 ოქტომბერს, „თერჯოლობაზე“ მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს უხვი სუფრა და საუკეთესო ღვინოები ჰქონდა წარმოდგენილი, გაუჭირდათ დეგუსტატორებს, მაგრამ წესი წესია და აირჩიეს საუკეთესოთა შორის საუკეთესო და გამარჯვებულიც გამოვლინდა. ერთ-ერთ ნომინაციაში „საუკეთესო ციცქა“ გაიმარჯვა სიქთარვის ღვინომ, ქოჩიაშვილების საოჯახო მარნიდან „სერაპიონი“.

სერაპიონ, ფარნაოზ, გიორგი ქოჩიაშვილები, უფრო შორეული წინაპრებიც მევენახეობა-მეღვინეობას მისდევდნენ, მათ საკუთრებაში ჰქონდათ მიწის ნაკვეთები და ძირითადად სხვადასხვა ქართული ჯიშები: ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა, ოცხანური

ჰქონდათ გაშენებული, მოჰყავდათ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებიც.



დიდი, ძლიერი და გამართული ოჯახი ჰქონდათ, ღია ჭურისთავი, სხვადასხვა ზომის ჭურებით—40-160 ვედრომდე ჩასავლის და ყველაზე პატარა ერთ ჩაფიანიც.

ოჯახის ყველა სრულწლოვანმა წევრმა იცოდა ვენახის გაშენების და მოვლის წესები. ჰქონდათ ყველა საჭირო მოწყობილობა: გოდრები, კალათები, ძარები, ორშიმოები, ხის დიდი და პატარა საწნახელი.

ყურძენს არჩევდნენ ჯიშისა და ხარისხის მიხედვით, იღებდნენ წინა წვენს, შუა წვენს, ბოლო წვენს და ნაქაჩ წვენს და დგებოდა ღვინო „კეთილი, კარგი, მაგარი, გემოიან-სუნიანი მრავლად“.

აშენებდნენ ახალ ვენახებს, ემატებოდა ოჯახს ხვავი და ბარაქა. შრომაში, ერთმანეთის პატივისცემასა და სიყვარულში გადიოდა დრო...

კერძო საკუთრებაში არსებული ვენახები ქოჩიაშვილებსაც ჩამოერთვა, მაგრამ ოჯახს ვაზთან და ღვინოსთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია.

დაიზარდნენ, დავაჟკაცდნენ და ოჯახები შექმნეს დიდი ბაბუის—სერაპიონის შთამომავლებმა, უვლიდნენ, ელოლიავებოდნენ ბაბუის დანატოვარს და აშენებდნენ ახალ ვენახებს, კვლავ ტრადიციულ ჯიშებს, ბაბუა სერაპიონს რომ უყვარდა ისეთს—ციცქას, ცოლიკაურს, ოცხანურს...

ექვსი შვილი გაზარდეს სერაპიონმა და მისმა ღირსეულმა მეუღლემ სერაფინა ნებიერიძემ, ექვსივე სასახელო და პატიოსანი ადამიანი, ტრადიციის მიმდევრები და ოჯახის სიწმინდის დამცველები.

მე შევხვდი ოჯახის რამდენიმე წევრს და დავიწყე შთამომავალთა „აღრიცხვა“. მათ კი მითხრეს, მაგრამ მე ამერია სათვალავი.

წინაპრებს ღია ჭურისთავი ჰქონდათ, ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცმა თენგიზ ქოჩიაშვილმა დიდი წინაპრის, თავის დროზე ერთ-ერთი გამორჩეული მევენახე-მეღვინის სერაპიონ ქოჩიაშვილის და მისი მეუღლის სერაფინა ნებიერიძის პატივსაცემად დააარსა საოჯახო მარანი „სერაპიონი“.

2019 წელს, ბაბუა სერაპიონი გახდა შთაგონება შექმნილიყო ეს მარანი, გაეგრძელებინათ ტრადიცია და შეექმნათ უკეთესი. მოაწყვეს საღვინე სახლი, შემატეს ახალი, გამოსანთლული ჭურები, სახელმწიფოს დახმარებით პროგრამით „აწარმოე საქართველოში“ მოიპოვეს გრანტი და შეიძინეს მოწყობილობები, რაც საჭიროა მაღალხარისხოვანი ღვინის ჩამოსასხმელად.

თანდათან ფართოვდება საოჯახო მეურნეობა, აწარმოებენ 2000 ბოთლ საუკეთესო ღვინოს, რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა სახის გამოფენებში, კონკურსებში. საკმარისად არც 1500 ძირი სრულმსხმოიარე ვენახი მიაჩნიათ. გეგმავენ კიდევ ამდენივე გააშენონ.

გარდა ბოთლებში ჩამოსხმული ღვინისა აქვთ ჭურში, ბოცებში დაყენებული.

ბაბუა სერაპიონის ნაქონი ზოგიერთი ღვინის გადასაღებ-გადმოსაღები მოწყობილობა, აღარ სჭირდებათ, მაგრამ ვერ ელევიან და უფრთხილდებიან, როგორც რელიქვიას. დავრწმუნდი, რომ სიტყვას საქმეს მოაყოლებენ ქოჩიაშვილები და გააშენებენ ახალ ვენახებს, მითუმეტეს, რომ გასაღება არ უჭირთ, არც თუ იშვიათად სტუმრობენ უცხოელებიც. აქაც და ყველა საქმეში მას გვერდით უდგანან მეუღლე თეა, რძალი თეონა, შვილიშვილები: თენგიზი, ზაზა, მარიამი, ელენე.

როცა ორ საუკუნეზე მეტი ხნის ამბებს წინაპრების მე-5 თაობა გიყვება და რომელსაც წინაპრების სურათები ტელეფონში უდევს, სითბო გეღვრება გულში.

ამ თაობას—თენგიზ ქოჩიაშვილის შვილს გიორგი ქოჩიაშვილს უყვარს სიცოცხლე, ოჯახი, მეგობარი, სამუშაო, ყველაფერი ღირსეული, ამაღლებული, კეთილშობილი და ზნეობრივი. აქვს საახალწლო სურვილები: დაგვებედოს ჭეშმარიტი რწმენის სიმტკიცე, ენის სიწმინდე, სულის სინათლე, მრავალშვილიანობა, მშვიდობა ოჯახში, ქვეყანაში, გვქონდეს ერთგულება ღვთისადმი, სიკეთისადმი, სიმართლისადმი, ერისა და ოჯახისადმი, სათნოებამ დაიდოს ბინა ჩვენს გულებში, მადლობა ვუთხრათ უფალს იმ სიხარულისათვის, რაც მოგვანიჭა გასული წლის მანძილზე, ვუმადლოთ მწუხარებისათვისაც, თუ წილად გერგო.

საბა და ივა

ღვინის ფესტივალი თერჯოლაში პირველად 2013 წელს ჩატარდა. ყველა, ვისაც საამისო შესაძლებლობა ჰქონდა, სურათს იღებდა, აღბეჭდავდნენ საოცარ სანახაობებს თავისთვის, გასაზიარებლად, შესანახად, რედაქციაშიც დაგროვდა კადრები, მაგრამ სოფელ ღვანკითის ე.წ. „კუთხეში“ გადაღებული ხის საწნახელი, ყურძნის წურვის პროცესი და იქვე ტკბილის აღება ჩურჩხელების ამოსავლებად, შთამბეჭდავი იყო.

განსაკუთრებით მოხიბლა დამსწრე საზოგადოება ყურძნის მწურავმა ბიჭებმა. რედაქციელებმა ამ პატარა ბიჭებს, პირობითად „ბიჭები საწნახელში“ დავარქვით და ეს ფოტო, წლების შემდეგ, 2023 წლის 22 ოქტომბერს, „თერჯოლობის“ ამსახველ მასალასაც დავურთეთ და გაჩნდა ინტერესი—ვინ არიან, სად არიან ეს ბიჭები, მაშინ 7 თუ 5 წლისანი.

ისინი, ღვანკითელი ძმები საბა და ივა კვახაჭელიძეები აღმოჩნდნენ.

საბა კერძო სკოლა „მზეკაბანის“ მე-11 კლასის მოსწავლეა, ივა ამავე სკოლის მე-9 კლასისა. შესაბამისად, ახლა 17 და 15 წლისანი.

ძმებს სკოლაში შევხვდი, აღმოჩნდა, რომ მათ ახსოვთ ფესტივალიც, ყურძნის წურვის პროცესი და ისიც, არაყოველდღიური ტანსაცმელი რომ შეურჩიეს, გამარჯვებულმა ღვანკითელებმა სამახსოვრო საჩუქრები რომ წაიღეს, ახსოვთ ზოგიერთი სხვა დეტალიც. მეც გავახსენე ზოგი რამ. ბიჭები სასიამოვნო მოსაუბრეები აღმოჩნდნენ, კარგად სწავლობენ, პედაგოგებიც დადებითად ახასიათებენ, კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. საბას და ივას თვითგამორკვევის—საკუთარი თავის და ადგილის პოვნის პროცესი დამთავრებული აქვთ, უკვე იციან რა გზას აირჩევენ და როგორი ცხოვრება უნდათ, იმედოვნებენ, რომ უმაღლეს სასწავლებელში, სასურველ პროფესიებზე პირველსავე წელს ჩაირიცხებიან—კომპიუტერულ ტექნოლოგიებს დაეუფლებიან.

დიახ, გაიზარდნენ ბიჭები, ახლა ორივემ იცის ღვინის ფესტივალის და 2023 წელს „თერჯოლობის“ ჩატარების მნიშვნელობა და მევენახეობა-მეღვინეობის ფასი, რომ იგი არ არის მარტო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება, რომ ქართული ღვინის მწარმოებლებსაც გააქვთ საქართველოს ღირსება მსოფლიოს ქვეყნებში. იციან თერჯოლაში ცნობილი მევენახე-მეღვინეები, კითხვაზე—რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა ათი წლის წინ გადაღებული თქვენი ფოტო იხილეთ, თქვეს, რომ ძველი გაზეთიც შენახული აქვთ და ახალიც...

სხვა რა ვთქვა—სანაქებო ახალგაზრდები დამდგარან, მეურნე კაცის ტანსაცმელში გამოწყობილი ბიჭები. 10 წლის მერე ისევ გადავიღეთ რედაქციის თანამშრომლების საყვარელი ბიჭები, დააკვირდით ფოტოს რა კარგები არიან, რა გარეგნობა აქვთ, მაგრამ ის ფოტო, ფოტო ყურძნის წურვისა, მაინც დარჩება ერთ-ერთ საუკეთესოდ.

საწნახელი იმერეთში წაბლის ან ცაცხვის მთლიანი ხისგან მზადდებოდა, იყო მოზრდილი საწნახელი და მომცრო, მომცროს „ონჯარო“ ჰქვია—წერს ივანე ჯავახიშვილი—საწნახელი, რომელშიც საბა და ივა 10 წლის წინ ყურძენს წურავდნენ—დღესაც ინახება. იგი „ონჯაროა“—მომცრო საწნახელი.

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

„საქართველო უპირველეს ყოვლისა“...

ასე ჰქვია აქტივობას, რომელიც გურამ ქარქაშაძის სახელობის ღვანკითის საჯარო სკოლის მერვეკლასელებმა საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების დარბაზში, ბიბლიოთეკასთან და აღმზრდელ პედაგოგებთან ერთად, წარმოადგინეს. აქ არიან მოწვეული სტუმრები, მოსწავლეთა მშობლები, პედაგოგები. ლამაზი წუთების მოლოდინში გარინდებულა მყუდრო დარბაზი. ახლა, როცა ყოველი დღე, ყოველი წუთი გვაახლოებს ნატრი და სასურველი ახალი წლის შეხვედრის სიხარულთან, გალაკტიონისა და მისი ჯადოსნური სტრიქონების მოხმობა, უკვდავ და მრავლისმეტყველ პოეზიასთან ზიარება, რომელსაც შეიძლება თამამად ითქვას, მსოფლიო პოეზიაში ბადალი არ მოეპოვება ზეაღმატებული განცდისა და სიხარულის აღმაფრენის ტოლფასია, სწორედაც...

ღონისძიება კლასმა დამრიგებლის, ეთერ ტურავას ორგანიზებით, სცენარითა და მისივე ჩართულობით მოამზადა.

„ის ჩვენთან ცხოვრობდა, ჩვენს შორის დადიოდა... ჩვეულებად ჰქონდა თბილისის ქუჩებში უქმად ხეტიალი—მზეში, წვიმაში, ქარში, მის დამძიმებულ სხეულს, გემის ბაქანზე მოსიარულე ალბატროსივით, თითქოს ზღვის „მსუბუქი ზვირთები“ აქანავებდნენ აქეთ-იქით. დიახ, თბილისს დღემდე კარგად ახსოვს მისი ნერვიული ნაბიჯები, მისი უცნაურად ატოკებული მიხვრა-მოხვრა.

უყვარდა ქუჩაში გამვლელების გაჩერება, მათთან მსუბუქი საუბრის გაბმა.

ოდნავ შეშუპებულ სახეს აშკარად სერავდა დაძაბული ღიმილი. ძნელი იყო გაგება დაგცინოდათ თუ ალერსსა და სიყვარულს ითხოვდა.

ახალგაზრდები სიამოვნებით უჩერდებოდნენ მას, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ და თავაზიანად იღიმებოდნენ მის ირონიულ შენიშვნაზე. მათ არ სჯეროდათ, რომ ეს იყო მეფე-პოეტი, მათი ფიქრისა და ოცნების მესაიდუმლე, „მთაწმინდის მთვარის“ ავტორი.

საოცარი ბედი ხვდა წილად ამ კაცს, მას ვეღარ ცნობდნენ თვით უახლოესი ადამიანებიც კი, რადგან იგი მიუწვდომელი იყო მათი ჩვეულებრივი მხედველობისათვის.

მხოლოდ სიკვდილმა დაუბრუნა თავისი სახე და ვიდრე მიწას მიაბარებდნენ, ადამიანებმა კვლავ იხილეს და იცნეს იგი, რაღაც იდუმალი შუქით შიგნიდანვე განათებული. მართლაც სიმღერებით მიძინებული მეფე-პოეტს ჰგავდა და მის სასთუმალს თავს დასტრიალებდა ყველა მშვენიერი ზმანება, ყველა სახე და აჩრდილი მისი პოეზიისა...

გალაკტიონ ტაბიძე სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად...

პოეტის მდუღარე სულის ძახილით შევიცანით ქართველების სისხლხორცეული თვისება—თავისუფლებისათვის შეუჩერებელი სწრაფვა...“ ხაზი გაესვა, რომ პოეტის შემოქმედებაში სამშობლო უმთავრესია.

შემდეგ იყო „დროშები ჩქარა“, „რა რიგ კარგია სამშობლო“, კომპოზიცია „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, „მამული“, „სამშობლოს“, „ქარი ქრის“, „მთაწმინდის მთვარე“, „ვერხვები“, „ახალგაზრდობას“, „უსიყვარულოდ“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

იყო მინიშნება: გალაკტიონის სტრიქონებში როგორ გამოიკვეთა რაინდული იდეალი ჩვენი ახალგაზრდობისა: „სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა“ და საქართველოს სათუთი სიყვარული „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაიარე, რაა მამული?“

მისასალმებელია, რომ მოსწავლეები ზეპირად გადმოსცემდნენ გალაქტიონის ლექსებს, პარალელურად ეკრანზე პოეტის ფოტოები, დროდადრო მის ლექსებზე დაწერილი სიმღერები სრულდებოდა, რომელიც ძალიან შეიყვარა ქართველმა მსმენელმა.

ითქვა, რომ გალაკტიონ ტაბიძე, იყო თავისი ეპოქის სწორუპოვარი ლირიკოსი, როგორც ანკარა წყაროს, ისე ეწაფებოდნენ ახალგაზრდები მის ლექსებს, რომლებშიც იყო ყველაფერი: ოცნება, სიხარული, იმედი, სევდა, ლოდინი, თავდავიწყება, სიყვარული, ვნება, ეჭვი და სიამაყე—ყოველივე ის, რაც ასე აუცილებელია ახალგაზრდა ადამიანის სულისათვის.

„გამარჯობა, აფხაზეთო შენი!“ გალაკტიონის ამ ულამაზესმა ლექსმა, სიმღერამ, კლიპმა თითოეულისათვის მტკივნეული თემა შემოიტანა ღონისძიებაში. კადრები, რომელიც მონიტორზეა და რომელიც სოხუმისაკენ დაძრული ადამიანების სინანულს, უსაყვარლესი მშობლიური ადგილის დედის მონატრების ტკივილს ამძაფრებს გულგრილს არავის ტოვებს. ლექსში არის იმედიც: „დრო ყველაფრის მკურნალია იცოდე და შენამდე არც თუ ისე შორია“... ღმერთმა ინებოს.

ერთი დიდი სიამოვნება გალაკტიონისვე წაკითხული ლექსების მოსმენა იყო.

ღონისძიებას დიდი ხიბლი და შინაარსი შესძინა კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, მადიმ დოლაკიძის ჩართულობამ, მან ჯერ ლექსის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ დაწერის ისტორია გაიხსენა, ხოლო შემდეგ მისეული ხელოვნებით წაკითხულით სიამოვნება მიანიჭა მაყურებელს.

მერვეკლასელთა ღონისძიებას სკოლის დირექტორი, ინგა ჯალიაშვილი ☞13

სიკეთის შუქი თვალებში...

„მთავარი სხვა არის, მთავარია, ადამიანებს რაც შეიძლება დიდხანს შევუნარჩუნოთ სამყაროს საოცრება—სიკეთის შუქი თვალებში“—წერდა ყველასათვის საყვარელი შემოქმედი, მწერალი რევაზ ინანიშვილი. ეს არ თქმულა მხოლოდ ლამაზი სიტყვებისთვის... სულსა და გულს რომ გაგითბობს, სამყაროსაც შეგაყვარებთ, საკუთარი თავის შეცნობაც გაგიადვილდება, ასეთია მისი შემოქმედება.

დიახ, უმთავრესი ღირებულება მისი შემოქმედებისა ალბათ ისაა, რომ გრძნობ უზარმაზარ სითბოსა და სიყვარულს, მისი მოთხრობებიდან რომ მოდის.

20 დეკემბერს მწერალს დაბადებიდან 92 წელი შეუსრულდებოდა, მან კი სამწუხაროდ, 63 წლის ასაკში 1991 წლის მიწურულს, ქვეყანაში ავადსახსენებელი, სამარცხვინო ძმათამკვლელი ომის დროს დაასრულა წუთისოფელი და თითქოს მისთვის სრულიად მიუღებელ, ჰუმანიზმისგან და სიყვარულისგან დაცლილ სამყაროს განერიდა.

20 დეკემბერს, თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკაში, მწერლის დაბადების დღე აღინიშნა. ღვანკითის საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეებმა, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის მადიმ დოლაკიძის ორგანიზებით მომზადებული ულამაზესი ღონისძიებით პატივი მიაგეს მწერლის ხსოვნას.

„რევაზ ინანიშვილის ნაწერები გამოირჩევა პოეტური ენით, მდიდარი ლექსიკით და სიკეთით. ბოროტებას თითქმის ეშინია მის მოთხრობებში გამოჩენისა, თითქოს არც არსებობს და თუ თავს წამოჰყოფს სადმე, დარცხვენილია და საცოდავი“—წერდა ვახუშტი კოტეტიშვილი.

რევაზ ინანიშვილი, რომ სიკეთის, სიყვარულისა და მეგობრობის მომღერალია ეს ყველა მკითხველისათვის გაცხადებული ჭეშმარიტებაა.

ღონისძიების დასაწყისში მადიმი მასწავლებელმა შეკრებილ აუდიტორიას დეკემბრის რელიგიური დღესასწაულები და კარსმომდგარი ახალი წელი მიულოცა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა ღონისძიება, რომელიც ამა თუ იმ გამოჩენილ პიროვნებას, თუ მნიშვნელოვან სადღესასწაულო თარიღს ეძღვნება გამიზნულია და ემსახურება მოსწავლეების აღზრდას, მათი სულიერი და ინტელექტუალური ცოდნის დონის ამაღლებას, ღირსეულ ადამიანებად ჩამოყალიბებას.

და აი, ახლა, სახელდახელო სცენას ულამაზესი გოგო-ბიჭები იკავებენ, უხვად მოედინება მწერლის ნააზრევ-ნაფიქრალი მოთხრობებიდან ბუნებისა თუ მოვლენების, სიკეთისა თუ სიყვარულის, სიბრალულისა და თანადგომის ამსახველი სცენები თუ სურათები და ისეთი შეგრძნებაა თითქოს რეალურად შენს თვალწინ ხდება ეს ყველაფერი.

მოსწავლეები კითხულობენ ინანიშვილის მოთხრობებს: „ეთერი“, „უკუღმა დაჭედილი“, „მირანდუხტ“, „შეშაზე“, „მუხა“, საუბრობენ მოთხრობებში დასმული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ.

კარგად მომზადებული სხვადასხვა აქტივობით დატვირთული სცენარი პატარების მრავალმხრივ შემოქმედებით სფეროებსაც გვიჩვენებს. საუკეთესოდ მღერიან, ცეკვავენ, სამსახიობო შესაძლებლობებიც გვიჩვენეს ლამაზი ინსცენირებით, წერილებიც მისწერეს პერსონაჟებს, ესტუმრენ კიდევაც და იუმორით გაჯერებული ნომრებიც შესთავაზეს მაყურებლებს.

ღონისძიებაში ოსტატურად გაჟღერდა კარსმომდგარი ახალი წლისათვის მომზადებული სასიმღერო ნომერი.

ღონისძიების ყველა ნაწილი მაღალ დონეზეა მომზადებული. თხრობის, ანუ გადმოცემის მაღალი კულტურა, ნიჭიერება ანუ ტექსტების ზეპირად ცოდნა, სიმღერისა და ცეკვის ძალიან კარგად შესრულება. სცენაზე აბსოლუტურად თავისუფლად დგომა და მოქმედება. ყველაფერს თავად აკონტროლებდნენ, მართავდნენ საკუთარ თავსაც და ერთმანეთსაც...

საკმაოდ მოზრდილ ტექსტებს, მწერლის მოთხრობებს, რომელსაც ღონისძიების მონაწილეები ზეპირად გადმოსცემდნენ არა თუ მათი აზროვნებისა და სამეტყველო ლექსიკის გამდიდრებას ემსახურება, არამედ მასში ჩადებული სიკეთის, სიყვარულისა თუ სიბრძნის „გაკვეთილები“ მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება ერთგულ „მეგობრად“, „დამრიგებლად“, ცხოვრების „გზისმკვლევარად“...

დიახ, აი ასე იზრდებიან ზნეკეთილი ადამიანები...

მადიმ დოლაკიძე „თერჯოლასთან“ საუბრისას: რევაზ ინანიშვილი ამბობდა: ბავშვებს სიყვარული და სიბრალული პატარაობიდან უნდა გავუღრმავოთ, რათა სხვა ღირებულებები თავისთავად ჩამოყალიბდეს მათ სულშიო და მართლაც რევაზ ინანიშვილის სამყაროში შებიჯებისთანავე ხვდებიან ბავშვები თუ რას ნიშნავს სიკეთე, უბრალოება, სილამაზე... ღონისძიების მიზანიც ეს იყო, ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანური ღირებულებების: სიკეთის, სიყვარულის, ერთგულების, პატივისცემის, პასუხისმგებლობის, შრომისმოყვარეობის გაღვივება პატარების გულებში. ინანიშვილის სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული მოთხრობების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მეხუთეკლასელებს ღრმად აქვთ გააზრებული, რომ წიგნის კითხვას მართლაც შეუძლია გადაარჩინო ადამიანი, რაც მეტს წაიკითხავ, მით მეტ გამოცდილებას იძენ და სწავლობ ცხოვრებას, ლიტერატურა აკეთილშობილებს ☞13

„საქართველო უპირველეს ყოვლისა“...

12 ☜

შემოუერთდა, გულითადი სითბოთი და სიყვარულით გაიხსენა გალაკტიონის შემოქმედება, მადლობა გადაუხადა ბავშვებს და ეთერ მასწავლებელს, ხაზი გაუსვა მის აქტიურობასა და შესაძლებლობებს... შემდეგ კი გალაკტიონის შემოქმედებიდან უკვდავი სტრიქონებით, მისეულად, კიდევ უფრო გაამდიდრა ღონისძიება.

დასასრულისაკენ ისევ „სამშობლო და მისი უსაზღვრო სიყვარული“, „ჰე მამულო!“, „სადღეგრძელო იყოს მისი“ და „მრავალჟამი-

ერ გუგუნებდეს ხმა“ ამ საოცრად შესრულებულმა სიმღერამ დაასრულა ღონისძიება.

მოსწავლეებს: ანი ჯანგიანს, თინათინ სარდანაძეს, ანა-მარია რობაქიძეს, თიკა კოვზირიძეს, ლიზი ბუცხრიკიძეს, გიორგი ზარნაძეს, გიორგი კუბლაშვილს, რეზო ბუსკივაძეს, ირაკლი კუბლაშვილს და ლუკა ქურცაძეს, რომლებიც გალაკტიონის ლექსებს კითხულობდნენ არასოდეს დაავიწყდებათ ეს ლამაზი დღე და პოეტის პოეზიის ნიმუშებიც სამუდამოდ დარჩება მათ მეხსიერებაში.

ღონისძიებას მაღალი შეფასება მისცეს, მადლობა გადაუხადეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს ღონისძიების ორგანიზატორსა და მონაწილეებს, ღვანკითის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილემ, კლასის პირველმა მასწავლებელმა ნანა ტყემალაძემ, განათლების რესურსცენტრის წარმომადგენელმა მაია რობაქიძემ, საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ლალი ცქიფურიშვილმა, ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების გამგემ რუსუდან ნიშნიანიძემ, სახელოვნებო განათლების და ტურიზმის ცენტრის წარმომადგენელმა შორენა ბოჭორიშვილმა, რომელმაც გალაკტიონისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსიც წაიკითხა.

ეთერ ტურავამ მადლობა გადაუხადა თითოეულ მონაწილეს, დამსწრე საზოგადოებას და ბიბლიოთეკის კოლექტივს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.

სიკეთის შუქი თვალებში...

12 ☜

მკითხველს, უფაქიზებს მათ სულს.

ღონისძიებას დაესწრნენ საჯარო და საბავშვო ბიბლიოთეკების ხელმძღვანელები და მუშაკები, მოსწავლეთა მშობლები, პედაგოგები: ნინო გოგიაშვილი, ცირა მურჯიკნელი, იზა ბუსკივაძე და მამა ანდრია ყიფიანი, რომელმაც დალოცა ბავშვები და ღონისძიების დამსწრე საზოგადოება.

ღონისძიების დასასრულს ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა ლალი ცქიფურიშვილმა მიმართა აუდიტორიას, ღონისძიების ორგანიზატორს და მონაწილეებს:

„ბედნიერები ხართ ბავშვებო ასე კარგი პედაგოგები რომ გყავთ, საუკეთესოდ რომ შეგიძლიათ თავის წარმოჩენა, მათი დამსახურებაა, მადლობა რომ კითხულობთ, ასე მაღალ დონეზე მომზადებული ღონისძიება რომ გვიჩვენეთ, არა მგონია დღევანდელმა თქვენმა აქტივობამ, ვინმე გულგრილი დატოვოს. თქვენ ღირსეულად ადამიანებად იზრდებით და ქვეყნის მომავლის იმედად. წარმატებები თქვენს თითოეულ ნაბიჯს ცხოვრებაში. წარმატებები ყველა პედაგოგს. გილოცავთ დამდეგ ახალ წელს“.

თავის მხრივ მადიმ დოლაკიძემ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინაც გამონახა დრო და მოსწავლეთა ღონისძიებას დაესწრო, ასევე მადლობა გადაუხადა მონაწილეებს, მათ მშობლებს, ბიბლიოთეკის დირექტორსა და ყველა მუშაკს.

ბოლოს მასწავლებელთან ერთად სიმღერითა და ცეკვით დასრულდა ღონისძიება და ყვავილებიც მიართვეს სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად.

როგორც დასაწყისში ითქვა ღონისძიების ორგანიზება, ტექსტი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის მადიმ დოლაკიძეს. მონაწილეობდნენ მოსწავლეები: მარიამ ყიფიანი, გიორგი კაცაძე, ნინი ცინაძე, მარიამ კუბლაშვილი, ნინი კუბლაშვილი, ლიზი ჯანგიანი, რეზი ზარნაძე, ვაჟა ცხადაძე, ანდრო ლომსაძე, მარი სარდანაძე, ბარბარე ბრეგვაძე, ლიზი სარდანაძე, გიგი ბუსკივაძე, ქრისტინე გავაშელაშვილი და ნიკოლოზ კოვზირიძე.

***

ძალიან საყვარელი და საოცარი ბავშვები ხართ, ჯერ მხოლოდ მეხუთე კლასში და ასეთი ყოჩაღები, მოწესრიგებულები, თავდაჯერებულები, ნიჭიერები და უსათუოდ შრომისმოყვარეები. თქვენ საქართველო გელოდებათ, თქვენ შეუძლებელს შეძლებთ...

მადლობა ამ სამაგალითო ღონისძიებისათვის!

ბედნიერი ახალი წელი თითოეულს!

მზია ცქიფურიშვილი

სასკოლო ტრადიციები

„ამომავალი მზის“ ქვეყანაში

სასტიკი დისციპლინა, მკაცრი წესებია დღესაც იაპონიის სკოლებში. ამ ქვეყანაში სასკოლო რეფორმა იშვიათად ტარდება, პატივს სცემენ ტრადიციებს, ერთ კონკრეტულ საგანში არსებობს ერთი კონკრეტული სახელმძღვანელო, ერთსა და იმავე გაკვეთილს ერთსა და იმავე დღეს გადიან. რეგლამენტირებულია ჩაცმულობა—მოსწავლის თმის ვარცხნილობიდან დაწყილი, ნასკების ფერით დამთავრებული. ჩვენი დროის ერთ-ერთ (შესაძლოა ერთადერთ) ყველაზე განვითარებული ქვეყნის ტექნოლოგიებისა და მაღალი საყოფაცხოვრებო დონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამომავალი მზის ქვეყნის ცხოვრებას თუ გადავხედავთ—ეს წესები მიუღებელი არ უნდა იყოს.

ერთი სკოლის მაგალითი...

გვესაუბრება სიქთარვის საჯარო სკოლის დირექტორი ია კვატაია და ამავე სკოლის X კლასის მოსწავლე მაგდა არაბიძე.

ია კვატაია—„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად სკოლას უფლება აქვს დააწესოს სასკოლო ფორმა ისე, რომ არ შეზღუდოს მოსწავლისა და მასწავლებლის გამოხატვის თავისუფლება. სიქთარვის საჯარო სკოლაში წლებია მოსწავლეები სასკოლო ფორმას ატარებენ, რაც სკოლის შინაგანაწესშია ასახული. სკოლის ფორმის შემოღება არ ყოფილა ერთპიროვნული გადაწყვეტილება. პირველი კითხვა, რაც დაესვა სასკოლო საზოგადოებას, ეს იყო, გვინდოდა თუ არა სასკოლო ფორმის დაკანონება. საკითხზე მსჯელობაში აქტიურად ჩაერთო მოსწავლეთა თვითმმართველობა, მოსწავლეთა მშობლები. თითქმის არ ყოფილა წინააღმდეგობა და ყველა ვთანხმდებოდით იმაზე, რომ სასკოლო ფორმას სკოლის იმიჯისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დადებითად შეთანხმების შემდეგ დავიწყეთ მსჯელობა დიზაინზე. გვქონდა რამდენიმე ვერსია ფერთან დაკავშირებით. უმრავლესობის აზრი იყო, რომ პრაქტიკული უნდა ყოფილიყო, კლასიკური ფერიც და გადაწყდა ნაცრისფერი სამღილიანი მაისურები, რომელზედაც დატანილი იქნებოდა სკოლის ლოგო და ნაცრიფერი კუბოკრული ქვედაბოლოები გოგონებისთვის, ხოლო ბიჭებისთვის შავი შარვლები ან მუქი ფერის ჯინსის შარვლები. ძირითადად ზამთრის სეზონზე შარვლები გოგონებისთვისაცაა განსაზღვრული, ხშირად ვსაუბრობთ მოსწავლეებთან, რა უპირატესობა აქვს სასკოლო ფორმას და ყოველთვის შემდეგი გამოიკვეთება: მოსწავლეებს არ აქვთ იმის განცდა, რომ ზოგს ძვირადღირებული აცვია და ზოგს ჩაცმულობაზე ეტყობა, რომ ეკონომიურად უჭირს, შესაბამისად, სოციალურ თანასწორობას განაპირობებს დიდწილად, სასკოლო ფორმა ქმნის

იმის განცდას, რომ მოსწავლის გონება მეტწილად აკადემიური განვითარებისკენაა მიმართული. სკოლისთვის მომზადებაშიც ნაკლები დრო იხარჯება იმის ფიქრში, თუ რა ჩაიცვან, სასკოლო ფორმა, რომელსაც სიქთარვის საჯარო სკოლის მოსწავლეები ატარებენ არც დიდი თანხა ჯდება და მშობლის ფინანსებიც იზოგება. გვაქვს პრაქტიკა, ბავშვები სკოლას რომ ამთავრებენ, სკოლაში ტოვებენ სასკოლო ფორმებს, რომლებიც შეიძლება სხვა მოსწავლემ გამოიყენოს. სასკოლო ფორმა, ვფიქრობთ ძალიან ლამაზია და სკოლის იმიჯს, წესრიგს განსაზღვრავს.

მაგდა არაბიძე—ვფიქრობ, რომ ყველა მოსწავლემ უნდა ატაროს ფორმა, რადგან მოსწავლეს კლასიკური გემოვნება უყალიბდება, სკოლის ფორმა ბავშვის კარგ ადამიანად ჩამოყალიბებასაც უწყობს ხელს, გამორიცხავს ვულგარულ ჩაცმულობას და მოსწავლე მეტადაა სწავლაზე ორიენტირებული. ამიტომაც კარგი იქნება, რომ ყველა სკოლაში იარონ ბავშვებმა სკოლის ფორმით, რაც მათ კიდევ ერთხელ აფიქრებთ, რომ განსხვავებული ვალდებულება გააჩნიათ სკოლის მიმართ და სკოლის ნაწილნი არიან. თან ძალიან მომწონს, ძალიან ლამაზია ერთნაირად ჩაცმული ყველა მოსწავლე.

სხვადასხვა საკითხებზე რედაქციაში შემოსული მოსაზრება შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციისას, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ თანხვედრაში ვართ. ორივე მხარე ვამბობთ—სასკოლო ფორმა? დიახ.

საჯარო სკოლის პედაგოგებს, მშობლებს, მოსწავლეებს, ვთხოვთ მოგვწერონ თავიანთი აზრი ამ საკითხზე.

ჟუჟუნა ცხადაძე

„სასკოლო პროექტები და ეროვნული იდენტობა“

ზოგადი განათლების სისტემა მოზარდს უყალიბებს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარ პასუხისმგებლობას, მნიშვნელოვანია, მომავალმა თაობამ გაიცნობიეროს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა. ამ მიზნით, სკოლებში დამკვიდრდა პროექტული სწავლება, რომელიც ითვალისწინებს არაფორმალური განათლების ფორმებს. ღვანკითის საჯარო სკოლის მუსიკის პედაგოგმა, ქალბატონმა მარინა ბოჭორიშვილმა, საპროექტო თემად შეარჩია, ეროვნული იდენტობისა და ევროპული მუსიკალური აზროვნების საკითხები ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში“. პროექტის ერთ-ერთ ეტაპზე განხორციელდა აქტივობა-ინტეგრირება მუსიკისა და ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში (პედაგოგები: მარინა ბოჭორიშვილი, ქეთევან დადუნაშვილი). პროექტის ეს ეტაპი პირისპირ განხორციელდა ზაქარია ფალიაშვილის მუზეუმში. დამატებით რესურსად მოსწავლეებმა შეისწავლეს ზღაპარი „ეთერი“. ფოლკლორი არაერთი დიდი მიღწევის შემოქმედების იმპულსი გამხდარა, სწორედ ის იქცა დასაბამად და მთავარ წყაროდ ზაქარია ფალიაშვილის უმთავრესი საქმიანობის-ოპერის შექმნისა. სრულყოფილებითა და გამორჩეული მუსიკალური ენით „აბესალომ და ეთერი“ იწყებს ეროვნული კლასიკური ოპერის ისტორიას. ამ ღონისძიებამ ყველა მონაწილე აღაფრთოვანა, დაუვიწყარი შთაბეჭდილებების ტყვეობაში მოგვაქცია მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა მარინა სულაქველიძემ, ის დახვეწილი პროფესიონალიზმით გვიწევდა მეგზურობას, ბავშვები ემოციებს ვერ მალავდნენ. მოლოდინს გადააჭარბა იმპროვიზებულმა უკუკავშირმა, გული სითბოთი და სიამაყით გაგვევსო, როცა განსაკუთრებული პატივისცემა გამოხატა მუზეუმის დირექტორმა ბატონი ვაჟა კუბლაშვილის მშობლიური სოფლის წარმომადგენლების მიმართ (ჩვენზე ბედნიერი, ალბათ, არავინ იყო). მოგვასმენინეს ბატონი ვაჟას ნამღერის ჩანაწერი და აღარავის გვიკვირდა, რატომ უწოდეს მას „სიმღერის ვაჟა-ფშაველა“. ეს იყო განუმეორებელი, შთამბეჭდავი, დაუვიწყარი, თბილი და მიზნობრივად გაჯერებული დღე, რომელმაც კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი გადაშალა ღვანკითის საჯარო სკოლის ცხოვრების კალენდარზე. მადლობა პროექტის ხელმძღვანელს ქალბატონ მარინა ბოჭორიშვილს, სკოლის დირექციას, ჩვენგან დიდი პატივისცემა მუზეუმის დირექტორს ქალბატონ მარინა სულაქველიძეს.

ქეთევან დადუნაშვილი

უკრაინული ფესვებით, ქართული ადათ-წესებით

1985 წელს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მე-4 ენერგობლოკის აფეთქებამ, მამის, ჩერკასკის ოლქის ქ. სმელაში მცხოვრებ, პროფესიით ინჟინერ იური სადილოვის ნაადრევად ტრაგიკულად დაღუპვამ, შეცვალა რადა სადილოვას ბედი. მარიამ ფხაკაძე, შვილთან, პატარა რადასთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა. ქალბატონი მარიამი, როგორც წარჩინებული სტუდენტი, მომავალი ეკონომისტი, სასწავლო პრაქტიკაზე უკრაინაში გაუგზავნიათ, აქ გაუცვნია უკრაინელი იური სადილოვი და ოჯახიც შეუქმნიათ. რადა საქართველოში გაიზარდა—უკრაინული ფესვებით და ქართული წეს-ჩვეულებებით.

ქალბატონმა რადამ წარჩინებით, წითელ დიპლომზე დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტი ისტორია-ფილოლოგიის სპეციალობით. პროფესიული განვითარების მიზნით ამავე უნივერსიტეტში ჩააბარა სამართლის და საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა, ნაშრომი წარადგინა და დაიცვა წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, არის საქართველოს ისტორიის და სამართლის მეცნიერებათა დოქტორი.

პროფესიული საქმიანობა 2006 წლიდან დაიწყო ზესტაფონის №5 საჯარო სკოლაში ისტორიისა და სამართლის მასწავლებლად. გავლილი აქვს საკვალიფიკაციო გამოცდები. ეტაპობრივად მიაღწია უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლის სტატუსს. პროფესიული ზრდის პროცესში საგნობრივი გამოცდა ჩააბარა ისტორიაში, სამოქალაქო განათლებასა და რუსულ ენასა და ლიტერატურაში, შეუძლია ასწავლოს ეს საგნები საშუალო განათლების სამივე საფეხურზე. მისი კარიერული წინსვლის გზა იყო უამრავი გამოწვევით დატვირთული.

სხვადასხვა დროს მუშაობდა შპს თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის „გორგასლის“ სკოლა-ლიცეუმში პედაგოგად. 2012-17 წლებში იყო შპს „თავისუფალი სკოლის“ დირექტორი. აქტიურად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამებში, კარგი მიღწევები აქვს სწავლების მეთოდიკაში. სემინარებისა და კონფერენციების აქტიური მონაწილეა, გამოქვეყნებული აქვს სტატიები სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიმართულებით.

გერმანიის კონრად ადენაუერის ფონდის და ევროკავშირის მიერ 2013 წელს მიენიჭა სამოქალაქო განათლების ექსპერტის ჯილდო სამოქალაქო განათლების სფეროში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის. რამდენიმე ხნის წინ, ევროკავშირის და იუნესკოს ინიციატივით, მიენიჭა საშუალო საფეხურზე მედიაწიგნიერების სწავლების უფლება.

მისი წარმატებული პროფესიული კარიერის მკაფიო დადასტურებაა მოსწავლეების წარმატებები რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო დონეზე სემინარ-კონფერენციებში და მათი სერთიფიკატები.

„ჩემთვის ახალი გამოწვევა იყო სოფელ გოდოგნის საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლების პედაგოგად მუშაობის დაწყება, აქ კარგად დავიმკვიდრე თავი, რაშიდაც დიდი სიყვარულით გამსჭვალული გარემო დამეხმარა“—ამბობს ქალბატონი რადა და საუბრობს იმ ხანგრძლივ კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობებზე, რომელიც ზესტაფონსა და ლიტვის ქალაქ ტაურაგეს შორისაა დამყარებული. ამ მეგობრობამ ხელი შეუწყო შექმნილიყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ლიტველი მეგობრები“. ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე რადაა, ორგანიზაციის მიზანია კიდევ უფრო გაღრმავდეს და ახალ საფეხურზე ავიდეს ქვეყნებს შორის ურთიერთობები.

განხორციელდა არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო გაცვლითი პროექტები. ხშირია ფოლკლორული ანსამბლების სტუმრობა და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა, ტელეხიდები თანატოლებს შორის. ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: განათლების სისტემა ლიტვასა და საქართველოში, კონფერენციას კურირებდა და მომხსენებელიც იყო, ორივე ქალაქის მუნიციპალიტეტმა სიგელი გადასცა.

ზესტაფონის №5 საჯარო სკოლასა და ქ. ტაურაგეს სკოლა გიმნაზიასთან გაფორმდა მემორანდუმი, ხშირია მიმოსვლა და საზაფხულო ბანაკების ორგანიზება.

„აღნიშნულმა ურთიერთობამ მრავალმხრივი საერთაშორისო გამოცდილება შემძინა, გამოცდილების გაზიარების მიზნით დავიწყე აქტიური მუშაობა გოდოგნის საჯარო სკოლის დამეგობრებისათვის ქ. ტაურაგეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. ქ. ტაურაგეს ოფიციალური დელეგაცია უკვე სტუმრობდა გოდოგნის საჯარო სკოლას, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მემორანდუმის გაფორმების მიზნით“—ამბობს რადა და კმაყოფილია, რომ დიდია გამოწვევები, რომ სკოლები აქტიურად ეხმიანებიან ყოველ სიახლეს და მაქსიმალურად ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას.

ქალბატონი რადასთვის ოჯახი მაინც უმთავრესი ღირებულებაა და პასუხისმგებლობა. რადა ამბობს, რომ გვიან შექმნა ოჯახი, მეუღლე დავით ტყემალაძე, პროფესიით იურისტი, სამეცნიერო მუშაობისას გაიცნო.

„ერთ წელიწადში ოჯახი შევქმენით, მეუღლე ჩემთვის ყველაზე დიდი მხარდამჭერი და დასაყრდენია, მაგრამ მთავარი კრიტიკოსიც, მრჩეველიც და დამამშვიდებელიც. გვაქვს მსგავსი ღირებულებები, რაც მშვიდ და ბედნიერ თანაცხოვრებას განაპირობებს, მეუღლე ჩემთვის დიდი დასაყრდენია, ჩემი აზრის და საქმიანობის გამზიარებელი და ცხოვრების ერთგული მეგზური, მეგობარი“—გვითხრა რადამ და კვლავ დაუბრუნდა სკოლას, გაკვეთილებს.

დამოკიდებულება სკოლასთან

„წარმატებული პედაგოგობა და სტატუსი-მენტორი—ჩემთვის ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ წარმატებული ხარ, წარმატებული მაშინ ხარ, როცა მოსწავლეს უყვარხარ და გიყვარს, ფიქრობ როგორ გაახარო, ყველაფერს აკეთებ მოსწავლის ღიმილიანი გამოხედვისათვის და მისთვის ფერადი სამყაროს შესაქმნელად. მასწავლებლობა ჩემთვის მეგობრობას ნიშნავს, ნამდვილს, გულახდილს, ყველაზე დიდი ბედნიერება მოსწავლის სიყვარულით სავსე მზერის დანახვაა, ლამაზი თვალების ყურებაა, ჩემი მიზანია შევინარჩუნო მათი სიყვარული და პატივისცემა“.

გამოწვევების, სიახლეების ფეხის ასაწყობად

„თანამედროვე მოსწავლეებს მასწავლებელთან უამრავი კითხვა აქვთ, სიახლის ძიებაში არიან და მაქსიმალურად მომზადებული უნდა შეხვიდე მათთან. არ კმარა, რასაც წლების წინ უნივერსიტეტში გვასწავლიდნენ, ჩვენც უნდა ვისწავლოთ, თან კარგად, მათი უსიტყვოდ უნდა გვესმოდეს, გამოხედვაში უნდა გრძნობდე რა სურთ და უნდა აკმაყოფილებდე კიდეც მათ სურვილებს, მასწავლებლობა არის პროფესია, რომელსაც მუდმივად სჭირდება განვითარება, ზრუნვა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, თვითგანვითარებაზე“.

რადა იმასაც ამბობს, რომ ძალიან უყვარს ექსპერიმენტები, საქართველოს სილამაზით ტკბობა, ასევე უყვარს უკრაინა, მამის სამშობლო და ქვეყანა, საიდანაც მოდის მისი ფესვები, წარმომავლობა, როგორც თვითოეულ ჩვენგანს, რადას კი განსაკუთრებით აღელვებს რუსეთ-უკრაინის ომი და შედეგები. მისი ოცნებაა მშვიდობა დამყარდეს უკრაინაში და მშვიდობა იყოს მთელ მსოფლიოში, ადამიანების გულებსა და ოჯახებში.

ჟუჟუნა ცხადაძე

გურამ ბერულავა—აფხაზეთი სულ უნდა გვახსოვდეს...

თითქოს გუშინ იყო, აგერ გამყრელიძეების გორაზე, ე.წ. „საპოვნელას“ კორპუსებში, აფხაზეთიდან დევნილები რომ შემოასახლეს. იმ დღიდან დავმეზობლდით და „საპოვნელას“ შემოგარენის მცხოვრებნი დევნილთა ჭირისა და ლხინის მოზიარენი გავხდით. მას შემდეგ 30 წელი გავიდა, არაერთი დევნილი მარადისობაში გადავიდა და თან გაიყოლა ჯვარი აფხაზეთისა და იქ მისი ოჯახის დაბრუნებისა. ბევრი მათგანი კი ვაჟკაცურად დღესაც უმკლავდება სევდა-ვარამს, ცხოვრებას, როგორც ეცხოვრება საკუთარ მიწაზე დევნილსა და იმ დღეზე ოცნებობს, როცა აფხაზეთი დედა სამშობლოს შემოურთდება, იმ ზღაპრულ მიწა-წყალზე მათი შთამომავლობა ყოფილ კერას და ეზო-რიადაგეს გააცოცხლებს.

ერთ-ერთი მათგანია გურამ ბერულავა, მეტსახელად „ბუდიონა“. მაღალი, წარმოსადეგი, მართლაც ბუდიონისებურად მაღლა აპრეხილი ულვაშებით. იგი ახალი წლის კვირაძალზე ვინახულეთ და სხვა რა იქნებოდა სალაპარაკო თუ არა იმ უაზრო, ძმათამკვლელი ომის დღეების გახსენება.

ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენს შორის ომი დაიწყებოდა, მეუბნება გურამი, ამდენი ხანი ერთად ვცხოვრობდით და ყველა ერთად დოვლათს ვქმნიდით. ცხოვრება გვიხაროდა. 40 წელს მიღწეული ვიყავი, ცოლ-შვილიანი. ისე კარგად ვიყავით არაფერი რომ არ გვაკლდა. ბათუმში მივიღე უმაღლესი განათლება, გემო-კვების ფაკულტეტი დავამთავრე.

სპეციალობით ვმუშაობდი რესტორანში. ვინ არ შემოდიოდა, ვის არ ვმასპინძლობდით. საქართველოს სადღეგრძელოსაც ერთად ვსვამდით.

აფსუა სეპარატისტების მიერ გუდაუთიდან ომის გაჩაღება მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას გავდა. სხვა რა გზა იყო თავი უნდა დაგვეცვა და ოჯახი. ჩვენ მზად ვიყავით ბრძოლისათვის, მაგრამ იარაღი ხომ გვინდოდა. თბილისიდან ჩამოსულ ერთ-ერთ მაღალი დონის ფუნქციონერს ვთხოვეთ, იარაღი გვინდა, მოგვეცით, გვითხარით რომელ ადგილზე გავმაგრდეთ—მეთქი. არ არის იარაღი, როგორც გინდა იშოვეთ და იომეთო...

აბა ასე მოიგებ ომს, როცა ზურგგამაგრებული, კბილებამდე შეიარაღებული ათასი ჯურის დაქირავებული, აფხაზ სეპარატისტებთან ერთად გიტევს?

ვიბრძოლეთ როგორც შეგვეძლო, ვიდრე სოხუმი არ დაეცა. დაიწერება ალბათ რა და როგორ იყო. ყველა გაიგებს რატომ დავკარგეთ ეს ზღაპრული მხარე. აქაც ღალატი იყო, ჭუბერის უღელტეხილისაკენ გვაქნევინეს პირი. სიცოცხლის გადარჩენის ამ ერთადერთი გზის გავლას, რომელიც ბევრი დევნილისათვის სიკვდილის გზად იქცა, თითქმის ორი კვირა დასჭირდა. გახსენებაც კი მზარავს ახლა იმ დღეებისა, როცა გულში ჩახუტებული შვილებით, მეუღლესთან ერთად მოვაკვლევდით თოვლსა და ვებრძოდით ქარ-ბუქს.

აქეთ გაყინვის გვეშინოდა, იქით კიდევ ათასი ჯურის ყაჩაღებისა, რომელთაც ეგონათ, რომ აფხაზეთიდან ოქრო-ვერცხლით დატვირთული მოვდიოდით, მაშინ, როცა სული ძლივს გამოვიტანეთ სხვა ჩემნაირ დევნილებთან ერთად. ბოლოს და ბოლოს, თერჯოლაში ე.წ. „საპოვნელას“ კორპუსებში დავიდეთ ბინა 80-მდე ოჯახმა. დღედღეზე ველოდით უკან დაბრუნებას, ხელისუფალნი გვაიმედებდნენ, რომ ეს დროებითი იყო, მაგრამ ისე ლოდინში გაიარა 30 წელმა აფხაზეთში დაბრუნების მინავლებული იმედი თუღა დარჩა, სხვა არაფერი. არაერთი დევნილი გადავიდა, ნახა თავის სახლ-კარი, სადაც ამჟამად სხვა ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ (ძირითადად რუსები და სომხები) ბედნიერად თვლიან თავს, რომ მათი საცხოვრისი გადარჩენილა ომის ქარცეცხლს, შენი აღარ არისო მითხრეს შეწუხებულებმა, სოფელი ბესლეთი ბრძოლის ეპიცენტრი იყო სოხუმის ასაღებად და რა გასაკვირია თუ მიწასთან იქნებოდა გასწორებული და გადამწვარი.

ყველაზე ბოლოს იმედი კვდებაო ნათქვამია. ხომ ფანტასტიკაა, დღევანდელი გადასახედიდან, მაგრამ იმედი იმ ზღაპრულ მიწაზე დაბრუნებისა არ გვტოვებს. ბედნიერად ჩავთვლი თავს თუ იქ ჩემი შვილები და შვილიშვილები მაინც დაბრუნდებიან. სექტემბრის თვეში დავკარგეთ სოხუმი და მთლიანად აფხაზეთიც, და რა გასაკვირია თუ 27 სექტემბერს, პრესა და ტელევიზია აფხაზეთის თემითაა გაჯერებული, ერი და ბერი პატივს მიაგებს გმირებს, რომლებიც დაეცნენ სამშობლოს ერთიანობისთვის ბრძოლაში.

აფხაზეთი არა მარტო ამ დღეს, სულ უნდა გვახსოვდეს, წლის ყოველ თვეს და ყოველ დღეს. მეტი დახმარება და თანადგომა უნდა ომის ვეტერანებს, ეს არა მარტო ვეტერანებისათვის, არამედ მომავალი თაობისთვისაა საჭირო, რომ ისინი მამათა მაგალითზე, სამშობლოს ღირსეულ დამცველებად აღიზარდონ.

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით ჩემი ვაჟის გამოხმაურება იყო გაზეთ „თერჯოლაში“. მას უყვარს აფხაზეთი და ოცნებობს იქ დაბრუნებაზე.

სისხლი სისხლით არ მოიბანებაო, უთქვამს ჩვენს ძველებს. აფხაზებისა და ქართველების შერიგება გარდაუვალია, ეს დღე აუცილებლად დადგება. როგორც ვიცი მათ ახლა ჩვენზე მეტად უჭირთ. სხვა შემთხვევაში სამკურნალოდ ჩვენს სამედიცინო დაწესებულებებში არ გადმოვიდოდნენ. აღარაფერს ვამბობ იქ კლანებისა და კრიმინალების თარეშზე, სხვათა მიერ აფხაზების საკუთარ საცხოვრისში შევიწროებაზე.

როგორ იწინასწარმეტყველა პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ, ჯერ კიდევ წინა საუკუნის 70-80-იან წლებში:

„ო, აფხაზეთო მრავალ კარგი მოყმის გამდელო,

მკერდმოჭრილი ხარ, ამორძალი უსაქართველოდ“-ო.

საქართველო უეჭვლად გაძლიერდება და გამთლიანდება. ნეტავი მათ, ვინც ამ ბედნიერ დღეს მოესწრება!

ყველა ჩემ ბედში მყოფს აფხაზეთიდან დევნილს, განსაკუთრებით ომის ვეტერანებს გულითადად ვულოცავ ახალ, 2024 წელს. ღმერთმა მხნეობა არ მოგვაკლოს და აფხაზეთში, მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნების იმედი აგვსრულებოდეს!

ი. ერაძე

ლაშა გოგიაშვილის სახელობის თასი

15-17 დეკემბერს თერჯოლის სპორტის სასახლეში გაიმართა ღია ტურნირი ჭიდაობა „ძიუდოში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის თასზე. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს 2012-2013-2014-2015 წლებში დაბადებულმა სპორტსმენებმა. აღნიშნულ ტურნირზე მონაწილეობა მიიღეს თერჯოლის, წყალტუბოს, ხარაგაულის, ქუთაისის (4 გუნდი), ჭიათურის, ლენტეხის, ზესტაფონის, სამტრედიის, ვანის, ქობულეთის 200-მდე სპორტსმენმა.

გაგაცნობთ თერჯოლელი სპორტსმენების (გოგონები და ვაჟები) მონაგარს.

რეზო ხაჭაპურიძე 21 კგ. მეორე ადგილი, **ნიკა გავაშელაშვილი** 46 კგ მესამე ადგილი, **ნიკოლოზ ჭანტურიძე** 55 კგ. მესამე ადგილი, **თამარ ზარნაძე** 48 კგ. მეორე ადგილი, **ნათია სვანიძე** 48 კგ. მესამე ადგილი, **დიანა ქასრაშვილი** 57 კგ. მესამე ადგილი.

ტურნირზე დაწესებული იყო ლაშა გოგიაშვილის თასი, რომელიც ხარაგაულელ **ლუკა კურტანიძეს** მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ გადასცა.

გუნდები შეჯიბრებისათვის მოამზადეს: **ლერი რობაქიძემ, დიმიტრი რობაქიძემ, გია ჭუმბურიძემ, მალხაზ თურქაძემ, ლერი ჯიხვაშვილმა, დიმიტრი გურგენიძემ, გიგა ჩაფიძემ, ლალი დიაკონიძემ, გიორგი კირკიტაძემ, ზურაბ გავაშელაშვილმა.**

თერჯოლელ სპორტსმენთა გასული წლის მონაგარი

გასულ წელს თერჯოლის სპორტსკოლის აღსაზრდელებმა საერთაშორისო, რესპუბლიკურ, სხვადასხვა სახელობით, რეგიონალურ და ადგილობრივ ტურნირებზე მოიპოვეს 40 ოქროს, 45 ვერცხლის და 81 ბრინჯაოს მედალი.

წლის10 საუკეთესო სპორტსმენი

გეგა გაბრიჭიძე—ჭადრაკი, მწვრთნელი მერი ჩაფიჩაძე;
ნინი წივწივაძე—ჭადრაკი, მწვრთნელი გია ჭუმბურიძე;
საბა სულამანიძე—ძიუდო, მწვრთნელი ლერი რობაქიძე;
ზურაბ ბოჭორიშვილი—სამბო, მწვრთნელები: მალზახ თურქაძე, ლერი ჯიხვაშვილი;
იური ჩაფიძე—ბ / რ ჭიდაობა, მწვრთნელები: გიგა ჩაფიძე, დიმიტრი გურგენიძე;
გიორგი რობაქიძე—კარატე—მწვრთნელი ირაკლი ღონღაძე;
ოთარ ჯაბიძე—ქართული ჭიდაობა, მწვრთნელი ზურაბ გავაშელაშვილი;
გიორგი აბჟანდაძე—უშუ, მწვრთნელი გიორგი კირკიტაძე;
ირინა გენაძე, ბარბარე მარუაშვილი—აკრობატიკა, მწვრთნელი ლალი დიაკონიძე;
გიგა ცქიფურიშვილი—ფეხბურთი, მწვრთნელი რამაზ გურაბანიძე.

მომავალი წარმატებები ვუსურვოთ მათ!

ვალერი გოგნაძის სახელობის ტურნირი

გაიმართა რუსეთ-საქართველოს ომში ტრაგიკულად დაღუპული, ჩვენი დროის გმირის, ვალერი გოგნაძის სახელობის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქუთაისის, მაღლაკის, ტყიბულისა და ღვანკითის გუნდები. ვალერი გოგნაძის სახელობის თასის მფლობელები გახდნენ ღვანკითელი „ნორჩი იუნკერები“.

„ფეხბურთი მარტო სპორტი არ არის, ის ამავე დროს საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სოციალური მოვლენაა—აცხადებენ ორგანიზაციის „ახალგაზრდული მოძრაობა ჯანსაღი და ნათელი მომავლისათვის“ ლიდერები. ეს ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან. სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგი იყო ის, რომ ახლადშექმნილ გუნდის წევრებს სპორტული საჩუქრები დაურიგდათ.

ფეხბურთის ფედერაციის პროექტის მიზანი იყო, გაეხარებინათ ღვანკითელი ნორჩი ფეხბურთელები, რათა ხალისით ევარჯიშათ სპორტულ მოედანზე. ფეხბურთელებისთვის ბურთებისა და სპორტული ფორმების შეძენისათვის, გუნდის შექმნის დღიდან დღემდე, არაერთმა მეცენატმა გამოიჩინა გულისხმიერება, მათ შორის არიან: ირაკლი კუბლაშვილი, შოთა ზარნაძე და კოტე ყიფიანი. მათ ფინანსური და მორალური მხარდაჭერა გამოიჩინეს „ნორჩი იუნკერების“ მიმართ. ღვანკითელი მოზარდები თავდაუზოგავად ვარჯიშობენ მწვრთნელების მითითებებით ღვანკითის მინი სტადიონზე, სადაც მათთვის ადგილობრივი გამგეობისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თაოსნობით ბავშვთა გასახდელი შენობაც მოეწყო. პრაქტიკულ ვარჯიშებთან ერთად ფეხბურთელებს უტარდებათ თეორიული მეცადინეობებიც ზოგად, საერთო და სათამაშო დისციპლინის საკითხებზე.

ღვანკითის საჯარო სკოლა

საახალწლო მილოცვა

ადამიანი როცა წარსულზე ფიქრობს, უკეთ გრძნობს აწმყოსაც და მომავალსაც. აწმყო ცვალებადია, მომავალი უცნობი. მხოლოდ წარსულია საბოლოოდ დასრულებული. თუმცა ბევრ რამეს დროის ბურუსი ფარავს, მაგრამ ადამიანს არ შეუძლია დაკარგოს წარსული და ყოველმხრივ აცხოველებს მას, თანაც ისე, რომ წარსული დღევანდელობისა და მომავლისათვისაც მოიხმოს.

წარსულიც საამაყო გაქვს, ჩემო თერჯოლავ, დღევანდელობაც მოძრავი და ხმაურიანი და მწამს, მომავალიც წარმატებული გექნება.

მობრძანდება 2024....

კიდევ მეტად განათებული და გაბრწყინებული, დახატული და ნაირფერადი, ღიმილიანი და შუქმფინარი, აშენებული და დამშვენებული, ამაყი და ლაღი და, რაც მთავარია, ჯანმრთელი და ბარაქიანი მენახე კვლავაც დედასამშობლოსთან ერთად.

მუდამ თქვენი ერთგული გელა ბუიღლიშვილი
დეკემბერი, 2023 წ.

მილოცვა ახალ წელს დაბადებულთ...

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ახალთერჯოლელი ბესო ცხადაძე ახალ წელს არის დაბადებული. შევეხმიანეთ და მივულოცეთ დაბადების დღე, გაუხარდა, თვითონაც მოგვილოცა ჩვენც და ახალ წელს დაბადებულ ყველა თერჯოლელს, მუნიციპალიტეტის მთელ მოსახლეობას—„ვისურვებ ერთიან, ძლიერ, გაერთიანებულ საქართველოში გვეცხოვროს, ყველა ოჯახში იყოს ხვავი და ბარაქა, იმედი და სიხარული, ბედნიერება, შვილთა სიმრავლე, ვიყოთ ჯანმრთელნი, გვიხაროდეს სიცოცხლე, ვისურვებ მშვიდობას, სიკეთეს, სიყვარულს, ღმერთმა დალოცოს ჩემი თერჯოლა და მთელი საქართველო, ალბათ მუნიციპალიტეტში მრავლად არიან ახალ წელს—პირველ იანვარს დაბადებულები—ყველას ვულოცავ, ჩვენც ვულოცავთ.

ჟუჟუნა ცხადაძე

გოგი მაკარიძე—მომილოცნია ახალი წელი

კრიალოსნის მძივებივით ჩამოიმარცვლა 2023-ის დღეები და მოვიდა ახალი 2024 წელი, ახალი იმედების, ახალი ოცნებების ახდენის წელი.

ყველასათვის, დიდია თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, სასიხარულო და საზეიმოა ახალის შემობრძანება. გულითადად მომილოცნია ჩემი თანატოლებისა და ახალგაზრდა მეურნეთა თუ ბიზნესმენთა სახელით.

რა კარგია, რომ ნანატრი მშვიდობა გვაქვს ბოლო წლებია, ქვეყანა დაწყნარდა და დაშოშმინდა, თანდათან ვითარდება ეკონომიკურად, პრიორიტეტულია რეგიონის განახლება, სოფლის აღორძინება და კეთილმოწყობა...

ახლახანს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსიც მივიღეთ. მეამაყება და მიხარია, რომ როგორც ეს მაღალი ტრიბუნებიდან ბევრჯერ ითქვა—„საქართველო თავაწეული, თავისი მდიდარი ტრადიციებითა და ღირებულებით გააგრძელებს სვლას ევროპული ოჯახისაკენ. როგორც ევროპა გაამდიდებს საქართველოს, ისე საქართველო გაამდიდრებს ევროპას თავისი ყველა სიკეთით“.

მაქვს დიდი იმედი, რომ სულ უფრო მეტი ასპარეზი გადაიშალა ახალგაზრდობისათვის პირადი ცხოვრების მოწყობისა და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. თითოეული მათგანი, ჩემი ჩათვლით, მეტად გაისიგრძეგანებს უფლება-მოვალეობებს მშობლიური კერისადმი, რომ ჩვენია ეს მიწა-წყალი და ჩვენ უნდა მოვუაროთ მას. აქ უნდა დავმკვიდრდეთ მტკიცედ, აქ უნდა მოვიყვანოთ „პური ჩვენი არსობისა“ და არა სადღაც გადასაკარგში.

სხვას რომ მოძღვრავ კაცი, თავად უნდა იძლეოდე ამის მაგალითს, ისე წყლის ნაყვა გამოვა შენი ნაუბარი.

არ მინდა თავის ქებაში ჩამომერთვას, მაგრამ ერთი კაცის გასაკეთებელს ნამდვილად ვაკეთებ. ჩემი და ჩემი ოჯახის სამუშაო დღე ადრე დილიდან იწყება და გვიან ღამით მთავრდება. 10 ტონამდე ყურძენს ვიწევთ, მოგვყავს მარცვლეული, მეგობარ მეზობელთან ერთად მაქვს ხბორების გამოსაზამთრებელი ფერმა, ყოფილი საკონსერვოს ტერიტორიაზე. ჩაის ფაბრიკის მიმდებარედ, ორიოდ წელია, რაც გავხსენი საბურავების სარეალიზაციო პუნქტი...

ოჯახი შევქმენი და მეუღლე გვანცა ხურციძესთან ერთად სიამტკბილობით ვეწევით საპატიო ჭაპანს. ახალი 2024-ის დადგომა მით უფრო მიხარია, რომ ნანატრ შვილს ველოდებით.

ღმერთმა ყველას იმედები აგვიხდინოს, ძვირფასო თანამემამულენო!

ახალი წელი ახალ სახლში

ყოველ დღეს, რაღაც ახლის მოლოდინში ვართ, ასეა მომდევნო დღეს და მთელ წელს. 2023 წელიც უკვე წარსულია, ზოგი დღე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული შნო და ლაზათი აქვს, ზოგიც შეიძლება არ იყოს სასურველ-სასიხარულო, მაგრამ ახალ წელს იმედით, უკეთესი მოლოდინით ვხვდებით. იმედიანი დღეები უდგას მუნიციპალიტეტის იმ 10 ოჯახს, რომლებთაც მუნიციპალიტეტის მერიამ საცხოვრებელი სახლი აუშენა, ათმა ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა და ახალი წელი ახალ სახლში.

ბრეგაძეების მრავალსულიანი ოჯახი

ხუთი შვილი გაიზარდა ნახშირღელელ ბადრი და მაია ბრეგაძეების ოჯახში. გოგონები გათხოვდნენ, ბიჭებმა ოჯახი შექმნეს და გაიფანტნენ, მაგრამ ყველას კავშირი აქვს სოფელთან, ოჯახთან, გამრავლდნენ, ჯერჯერობით რძლიან-სიძეებიან და შვილებიანად თორმეტნი არიან... თანდათან გამრავლდებიან და სიბერეში ბადრის და მაიას, შეიძლება შთამომავალთა სათვალავიც კი აერიოთ.

ახალი წლის ღამეს...

როგორც ყველგან, ამ ოჯახშიც ახალი წლის სუფრა ორჯერ იშლება—პირველ და თოთხმეტ იანვარს. ბევრი გვაქვს თუ ცოტა, ახალი წლის სუფრა უხვია, ბადრის ოჯახში ძველთაგანვე იცავდნენ ტრადიციებს, ასეა ახლაც. პირველად ბასილს, მტევანს და რქას აცხობენ, ბასილაზე ჯვარს, მტევანზე ყურძნის მარცვლებს ტვიფრავენ, რქას რგოლს უკეთებენ. 14 იანვარს, გამთენიისას ოჯახის უფროსი ვენახში მიდის, მიჰყავს მამალი, დოქით ღვინო, მტევანი უხვი მოსავლის სიმბოლოს ვენახში ტოვებს, რქას პირუტყვს რქაზე ჩამოაცვამს და შეაჭმევს, ბასილას ოჯახის ყველა წევრი გასინჯავს, წლის სიუხვის და ბედნიერების მომტანს, სახლში ჯირკს შეიტანს და იტყვის—შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, წმინდა ბასილი, პურმარილით იყავით აღვსილი, მერე მეფეხურიც მოვა, საგანგებოდ შერჩეული...

ასე იყო წელსაც, ოღონდ ახალ სახლში.

სამადლობელი

ბადრი და მაია, მთელი ოჯახი ბედნიერია. ახალ სახლში გატარებულმა ახალმა წელმა დიდი სიხარული მიანიჭათ, შემდგომი წლებიც ასეთი და უკეთესი იქნება, თანდათან თვითონაც შემატებენ ოჯახს, რაც აკლიათ და რაზეც ოცნებობენ.

მადლობლები არიან ბრეგაძეების ოჯახის წევრები მუნიციპალიტეტის მერიის, მერის ბატონ მანუჩარ რობაქიძის, ადგილობრივი წარმომადგენლის, მაჟორიტარი დეპუტატის, მშენებლების, ლოცავენ ყველას, ვინც მათ ოჯახს ბედნიერება მიანიჭა.

ჟუჟუნა ცხადაძე



ჰოროსკოპის მიხედვით 2024 წელი დიდ ცვლილებებს მოიტანს

ჩინური ზოდიაქო, ჩინური კულტურის განუყოფელი ნაწილი, ყოველწლიურად ასოცირდება ზოდიაქოს თორმეტი ცხოველიდან ერთ-ერთთან: ვირთხა, ხარი, ვეფხვი, კურდღელი, დრაკონი, გველი, ცხენი, თხა, მაიმუნი, მამალი, ძაღლი და ღორი.

ამ ზოდიაქოს მიხედვით 2024 დრაკონის წელია, რომელიც 2024 წლის 10 თებერვლიდან 2025 წლის 28 იანვრამდე გაგრძელდება.

დრაკონი ჩინურ ასტროლოგიაში პატივსაცემი სიმბოლოა—ცნობილია თავისი ძალით, სიბრძნითა და წარმატებით. გამონაკლისი არც დრაკონის მომავალი წელი იქნება—ის ტრანსფორმაციის, ზრდისა და სიმრავლის წლად ითვლება.

ვის ელის ყველაზე კარგი წელი?

ვირთხის, მაიმუნის და მამლის ნიშნის ქვეშ დაბადებულებს კარგი წელი ელით. ეს ნიშნები მჭიდროდ უკავშირდებიან დრაკონს, რაც 2024 წელს დიდი წარმატებისა და სიმრავლის დროდ აქცევს.

მეორე მხრივ, ზოგი შეიძლება დაბრკოლებებს წააწყდეს. მაგალითად, ხარის, გველისა და ძაღლის ნიშნები შეიძლება შეხვდნენ გამოწვევებს პირად და პროფესიულ ცხოვრებაში, მაგრამ არ ინერვიულოთ, არსებობს გზები ამ სირთულეების დასაძლევად. ხარს შეუძლია დაეყრდნოს თავის მოთმინებასა და შეუპოვრობას, გველს შეუძლია გამოიყენოს თავისი ინტუიცია და ადაპტირების უნარი, რათა გადალახოს ნებისმიერი დაბრკოლება. ძაღლს ასევე შეუძლია დაეყრდნოს საკუთარ ერთგულებას და პატიოსნებას.

როგორი იქნება 2024 წელი დრაკონებისთვის?

2024 წელი ამაღელვებელი წელი იქნება დრაკონის წელში დაბადებულებისთვის, რადგან მათი ზოდიაქოს ნიშნის სიცოცხლისუნარიანობა ძლიერდება.

2024 წლის ჩინური ჰოროსკოპის მიხედვით, ხის დრაკონის ენერგია გადამწყვეტ გავლენას მოახდენს დრაკონებზე, გააძლიერებს მათ ბუნებრივ თვისებებს—გამბედაობას, თავდაჯერებულობას და დამოუკიდებლობას. შედეგად, დრაკონები იგრძნობენ ძალაუფლებას, აიღებენ პასუხისმგებლობას თავიანთ ცხოვრებაზე და მიაღწევენ მიზნებს.

მეორე მხრივ, ზოგი შეიძლება დაბრკოლებებს წააწყდეს. მაგალითად, ხარის, გველისა და ძაღლის ნიშნები შეიძლება შეხვდნენ გამოწვევებს პირად და პროფესიულ ცხოვრებაში, მაგრამ არ ინერვიულოთ; არსებობს გზები ამ სირთულეების დასაძლევად. ხარს შეუძლია დაეყრდნოს თავის მოთმინებასა და შეუპოვრობას, გველს შეუძლია გამოიყენოს თავისი ინტუიცია და ადაპტირების უნარი, რათა გადალახოს ნებისმიერი დაბრკოლება. ძაღლს ასევე შეუძლია დაეყრდნოს საკუთარ ერთგულებას და პატიოსნებას.

როგორი იქნება ზოდიაქოს თითოეული ნიშნისთვის დრაკონის წელი—2024

ვერძი (21 მარტი -20 აპრილი)

თქვენთვის მრავალი შესაძლებლობა გაიხსნება. უნდა იყოთ მზად, მიიღოთ გამოწვევები, რომლებიც გზაზე შეგხვდებათ. გაჩნდება შესაძლებლობები - ერთ-ერთი იქნება ისეთი, რომელიც დასაბამს მისცემს პერსპექტიულ და სასარგებლო ნაცნობობას. არ მოერიდოთ ექსპერიმენტებს ამ კუთხით - ოღონდ ექსპერიმენტები წინდახედულებით უნდა გამოირჩეოდეს. ეს შემოსავლების გაზრდის ალბათობას მოგცემთ.

კურო (21 აპრილი - 21 მაისი)

დრაკონის წელი კუროებისთვის იქნება როგორც წარმატებების, ისე გამოწვევების წელი. მოგიწევთ სირთულეებთან და შეცდომებთან შეჯახება. თუმცა, არ უნდა შეგეშინდეთ - ასეთი გამოწვევები აუცილებელი რესურსების მობილიზებას მოახდენს თქვენში. გამოწვევების გარდა, დრაკონის წელი არაერთ ბედნიერ მომენტს, საქმეებში წარმატებულ შედეგს გაჩუქებთ. თქვენი შრომისმოყვარეობა ნაყოფს გამოიღებს.

ტყუპები (22 მაისი - 21 ივნისი)

2024 წელს დადებითი ცვლილებები გელოდებათ პირად ცხოვრებაში და ოჯახში. თქვენი გულგახსნილობა ნაყოფს გამოიღებს—გაჩნდებიან ახალი ნაცნობები, საურთიერთობო წრე გაფართოვდება და უფრო საინტერესო გახდება. თუმცა, პოპულარობამ თქვენი ყურადღება არ უნდა მოადუნოს—არ უნდა მიუშვათ ოჯახისა თუ სამსახურის საქმეები, გადაუჭრელი პრობლემები. ნუ გადადებთ საქმეებს—იყავით ორგანიზებული და სისტემატური.

კირჩხიბი (22 ივნისი - 22 ივლისი)

დრაკონის წელი კირჩხიბებს ბალანსს გპირდებათ. ხშირად გექნებათ შინაგანი ჰარმონიის განცდა საკუთარ თავთან და ირგვლივ მყოფებთან. თუ ამ მდგომარეობის შენარჩუნებას შეძლებთ - არ გაღიზიანდებით წვრილმანებზე, იმუშავებთ თქვენს თავზე და თავშეკავებული იქნებით - ცხოვრების სხვადასხვა სფეროში შეძლებთ წარმატების მიღწევას. სიმშვიდის ენერგია თქვენი მთავარი ძალა გახდება 2024 წელს.

ლომი (23 ივლისი - 23 აგვისტო)

ჩინურ ჰოროსკოპში დრაკონ ლომის „ტყუპისცალია", ასე რომ, ცეცხლის ნიშნის წარმომადგენლებს დადებით მომენტებს მოუტანს. შეგიძლიათ თამამად შეასხათ ხორცი თქვენს ამბიციებს. გექნებათ კარიერული ზრდის შესაძლებლობები, წარმატების მიღწევის შანსები.

ქალწული (24 აგვისტო - 22 სექტემბერი)

კარიერაში მეტი სიმტკიცის გამოჩენა მოგიწევთ. მაგალითად, უნდა შეწყვიტოთ თქვენი ინიციატივების, დაწინაურების სურვილის დამალვა. ასევე გაგიჩნდებათ სურვილი, თქვენი ცოდნა გააღრმავოთ ან ახალი ცოდნა მიიღოთ. ეს პროფესიულ სარბიელზე წარმატებებს მოგიტანთ. დრაკონი ხელგაშლილი იქნება ფულის მხრივაც - არ გაგიკვირდეთ, თუ ფინანსები არსაიდან, მოულოდნელად გაჩნდება.

სასწორი (23 სექტემბერი - 23 ოქტომბერი)

2024 წელი სასწორებისთვის მეგობრობისა და მხარდაჭერის წელი იქნება. დრაკონი მოგცემთ საშუალებას, უფრო თავდაჯერებულად იგრძნოთ თავი და ძალას შეგმატებთ, რომ თქვენი პროექტების რეალიზაცია შეძლოთ. ვინც იაქტიურებს, დიდი ალბათობით, გაზრდის თავის შემოსავალს. დრაკონი ხომ ასევე ბარაქისა და სიუხვის სიმბოლოა. მისთვის დამახასიათებელია მათი წახალისება, ვინც სიმდიდრისკენ მიილტვის და არა დამუნათება.

მორიელი (24 ოქტომბერი - 22 ნოემბერი)

მორიელისა და დრაკონის ტემპერამენტი რაღაცით ერთმანეთს წააგავს, ამიტომ თქვენთვის მრავალფეროვანი და დატვირთული პერიოდი იწყება, რომელიც კაშკაშა შთაბეჭდილებებით იქნება სავსე. აუცილებელია, გაჰყვეთ თქვენს ალღოსა და მისწრაფებებს, მაგრამ სიფრთხილე არ უნდა დაივიწყოთ: გზაზე შეიძლება გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც თქვენი თანხის ან იდეების მითვისებას გადაწყვეტენ. გუნდში მუშაობა მომგებიანი პერსპექტივაა, მაგრამ პირადის განდობისას მაინც ფრთხილად იყავით - ყველას არ ენდოთ.

მშვილდოსანი (23 ნოემბერი - 23 დეკემბერი)

მშვილდოსნებს 2024 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები გელოდებათ, მაგრამ ნერვიულობა არ ღირს-ცვლილებები, ძირითადად, სასიხარულო იქნება. სასიამოვნო მოვლენები გზას გაგინათებთ. მაგრამ იმისთვის, რომ შესაძლო წარმატებები არ დააფრთხოთ, უნდა მოერიდოთ საცხოვრებლის ან სამუშაოს შეცვლას. აგვისტოში არის მოგების მიღების შანსი საქმიანი მივლინებიდან, სექტემბერსა და ოქტომბერში კი გარკვეული ფინანსური პრობლემები გელოდებათ.

თხის რქა (22 დეკემბერი - 20 იანვარი)

ზებუნებით ბოძებული შრომისმოყვარეობა და სიჯიუტე საქმეებში პროგრეს გპირდებათ. თქვენი სტაბილურობა საიმედო ადამიანის რეპუტაციას მოგიტანთ. პირად ცხოვრებაში სტაბილურობა გაბატონდება. ვისაც პარტნიორი ჰყავს, ყველაფერი კარგად აეწყობა. მარტოხელები ისწავლიან საკუთარი სტატუსით ტკბობას და სურვილის შემთხვევაში, რომანტიკულ ურთიერთობასაც გააბამენ.

მერწყული (21 იანვარი - 18 თებერვალი)

დრაკონის წელს მერწყულები ყურადღებას ახალ მიზნებსა და ინტერესებზე გაამახვილებთ, რომლებიც სამუშაოს არ უკავშირდება. შესაძლოა, მოაწყოთ ერთგვარი „გადატვირთვა", რისი საბაბიც რამე არცთუ სასიამოვნო მოვლენა გახდეს. თუმცა, ასეთი გამოცდის შემდეგ დრაკონი გონზე მოსვლის საშუალებას მოგცემთ და მიგიყვანთ ტრანსფორმაციამდე. **თევზები (19 თებერვალი - 20 მარტი)**

მიუხედავად იმისა, რომ დრაკონი და თევზები სხვადასხვა სტიქიას მიეკუთვნებიან, წყლის ნიშნის მიმართ მტაცებელი მაინც კეთილგანწყობას გამოიჩენს. სარგებელს მოგიტანთ გულწრფელობა როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ. თუნდაც ეს გულწრფელი სიბრაზე იყოს. თუ არ დაიწყებთ საკუთარი თავის შეცოდებას და მოვლენებს მინუსების გაცნობიერებაში გამოიყენებთ, შეძლებთ საკუთარი პოზიციების გაძლიერებას და მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თქვენი სურვილების ასრულების წელი ყოფილიყოს 2024!

შპს „თერჯოლა"

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ"-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი"
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872